

საერთო გაფატი

№14 (326) • 22 აპრილი, 2015 წელი • გამომცემი: ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ღირსი 1 ლარი

სოსო მანჯაძე:



შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია — დაუყონებლივ დავინყოთ მოლაპარაკებები ყველა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოსთან, მათ შორის რუსეთთან, უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შესახებ



შოთა აფხაძე:

თუ ასე გაგრძელდა, საქართველო შეიძლება ჯიჯადის სამოქმედო არეალში მოექცეს

გოგი თოფჩაძე - 75



ვინ შეინიჭებს საქართველოს პოლიტიკური ღვენილის სტატუსს?

რატომ უპირისპირდება ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამერიკაში მოღვაწე ქართველ მეცნიერს გიგა ღვალს?

ს ჰეპათიტის სამკურნალო ახალი თაობის მედიკამენტებს პაციენტები უფასოდ მიიღებენ

აჩილ

Sal va abul azes aravin moukl avs. sami Tvis ganmavl obaSi

ჩუბინია:

is mamuka xazaraZes da mis damqaSebs emal eboda





ვანო მერაბიშვილი

ვინ მიანიჭებს საქართველოს პოლიტიკური ღვინის სტატუსს?

„ნაციონალიზმი“ ირწმუნებიან, პოლიტიკურად გვედევნიან საქართველოში, პოლიტიკური ნიშნით გვიჭერენ და გვაიწროებენო.

სინამდვილეში „ნაციონალიზმი“, კი არა თვითონ საქართველოა პოლიტიკურად ღვინის ქვეყანა, რომელსაც იმის უფლებასაც კი არ აქვს, რომ დავანაშაურობოთ პანონის ფარგლებში, ობიექტურად და მიუხედავად, სათანადო პასუხს მოვთხოვოთ.

ვერ დავთანხმდები ვინაობა და სულელთათვის გადმოვდებულ იმ დემაგოგიას, რომ ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების ბრალია და სწორედ მისი უუნარობის და უნიათობის გამო ვერ ხერხდება სამართლიანობის აღდგენა.

რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ხელისუფლების ბრალიცაა ის, რაც ხდება, მაგრამ მთავარი ფაქტორი, მთავარი დაბრკოლება, რის გამოც სამართლიანობის აღდგენის პროცესი ფერხდება, ე. წ. საერთაშორისო თანამეგობრობაა, რომელიც ამბრაზურასავით გადაეფარა ათასგვარ უმძიმეს დანაშაულში ბრალდებულ კრიმინალებს და თავისი ფრთის ქვეშ შეიფარა ისინი.

ბანა მთელი საქართველოს, მთელი ქართველი ხალხის უდიდესი შურისრაცხყოფა და აზურად აღდგება არ არის, როდესაც უპრაინაში მაღალ თანამდებობაზე ნიშნავენ ადამიანებს, რომლებიც იმ სისტემური რეჟიმის კონსტრუქტორები არიან.

განა თვალში ნაცრის შეყრა არ არის, როდესაც ჩვენი უცხოელი მეგობრები პოლიტიკურ დევნად ასაღებენ ქართველი სამართალდამცავების მიერ კონკრეტულ დანაშაულებებში ეჭვმიტანილ პირთა წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს, თითქოს საქართველოში ამ ცხრა წლის განმავლობაში განსაკუთრებული არაფერი არ მომხდარა?

კი, მაგრამ, რომ მოხდა და ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი რომ არსებობს, ამას რა ვუყოთ?

ქუჩებში დახვედრებილი ასობით ადამიანი, 28 ათასი პატიმარი (აქედან 200 პოლიტპატიმარი) 300 ათასი პრობაციონერი, 7 მილიარდის ღირებულების უკანონოდ ჩამორთმეული ქონება – ეს ყველაფერი იყო და ეს ყველაფერი „ნაციონალიზმის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მოხდა.

რა ქნას ახლა საქართველომ, არ დააკისროს პასუხისმგებლობა „ნაციონალებს“?

ქვეყანაში რაღაც საიდუმლო, იატაკქვეშა კრიმინალური ორგანიზაცია მოქმედებდა, ხერხებდა, აპატიმრებდა, აყაჩაღებდა?



დებდა ადამიანებს. „ნაციონალები“ კი არაფერ შუაში არიან? ის უცხოური ორგანიზაციები, სახელმწიფოთა ხელმძღვანელები თუ ცალკეული პოლიტიკოსები, რომლებიც დღეს „ნაციონალიზმს“ მფარველობენ და ქომაგობენ, ფაქტობრივად, აიღიარებენ, რომ „ნაციონალიზმი“ – ეს იყო მათი დესანტი, მათი დასამსჯელი რაზმი.

კი, მაგრამ, რისთვის გვსჯით ასე სასტიკად, ბატონებო, ისეთი რა დანაშაული მიუძღვის ქართველ მრეწველთა და დამოკრძალებული მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე, რომ „ნაციონალიზმი“ მოგვისივით დამოკრძალებად?

რაც იყო, იმასაც არ სჯერდებით და ისევ ხელახლა გინდათ შემოგვისით ეს ბანდა, რომ საბოლოოდ გადაგვამტკრივოთ სერხემალი და ფეხზე წამოვდგომა ვერასოდეს ვერ შევძლებთ?

შემთხვევით, შურს ხომ არ ძიობთ თქვენ ქართველ ხალხზე,

რომელმაც 2012 წლის არჩევნებში უარი უთხრა თქვენს ფავორიტებს და სხვა არჩევანი გააკეთა?

მხოლოდ „ნაციონალიზმის“ მმართველობის ცხრაწლიანი პერიოდი კი არა, ოცდახუთი წელია საქართველო არნახული მსშტაბების ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფება და რომ არა ქართველი ხალხის გაუტყეხელი ბუნება და ხასიათი, ჩვენ კარგა ხნის წინათ ვიქნებოდით საბოლოოდ გასრესილინი და იავარქნილინი.

* * *

როდესაც სიტყვა კოაბიტაციამ პირველად გაიჟღერა, მაშინვე ვთქვი, რომ კოაბიტაციის თემა მხოლოდ იმისთვის კი არ



არის შემოგდებული, რომ „ნაციონალიზმი“ მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან იხსნან, არამედ იმისთვისაც, რომ ახალ ხელისუფლებას კოაბიტაციის



ბორკილებით ხელ-ფეხი შეუბოჭონ და დროთა განმავლობაში მისი დისკრედიტაცია მოახდინონ-მეთქი.

ისე ავიხდათ ყველა ნატურა, როგორც ეს „წინასწარმეტყველება“ ახლა...

ვინც კოაბიტაციად წოდებული ეს მზაკვრული გეგმა შეიმუშავა, მან ნაწილობრივ მიაღწია საწადელს – საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი უკვე იშვერს ხელს ახალი ხელისუფლებისკენ და სამართლიანობის აღდგენის შეფერხებაში მას ადანაშაულებს, ხოლო დაუსჯელობით გათამამებული და გათავებულებული „ნაციონალიზმი“ უფრო შორს მიდის და ხელისუფლების შეცვლას ითხოვს – ბრალს სდებს რა მას უნიათობასა და უუნარობაში.

რა გინდათ თქვენ, თქვენი სულწაფყამილი და ფარისებელი „ნაციონალიზმი“ – ისეთი უნარიანი ხელისუფლება გინდათ,

რომელიც ფხვანით ჩამოგვიდგამს ბოკაშა და თქვენს მიერ შემკრებილი ქართველი ხალხის სისხლს უპანაშაოვანად?

არა მგონია, თქვენ ამისთვის იკლავდეთ თავს.

თქვენ ამ ხელისუფლებაზე გაცილებით სუსტი და უნიათო ხელისუფლების მოყვანაზე ოცნებობთ, რომელიც უსიტყვოდ შეასრულებს თქვენი უცხოელი პარტნიორების ყველა დირექტივას, რაც არსებული ხელისუფლების პირობებში ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

ვიყოთ ობიექტური და პირდაპირ ვთქვათ: „ქართულმა ოცნებამ“ ბევრ ამაღლ „ნაციონალს“ ამოაყოფინა ციხეში თავი, ხოლო რაც შეეხება გააქცეულ დიდებს, ხვალ იქნება თუ ზამ, მათაც მაშინვე გვერდით მიუჩვენან ადგილს.

ისიც გარდაუვალი მგონია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, უკრანელები და კიდევ სხვები და სხვები, სააკაშვილს და მის ამფონებს თვითონ გააკოჭავენ და ასე გააბარულ-გაკოჭილებს მოგვიყრან უკან.

დრო უნდა ამას, თორემ ეს რომ ასე მოხდება, ისე დანამდვილებით ვიცი, როგორც ის, რომ ხვალ აუცილებლად გათენდება.

* * *

– როგორც წერილის დასაწყისში ვთქვით, თუ ვინმე იღვწება საქართველოში პოლიტიკური ნიშნით, ეს თვითონ საქართველოა, რომლის მრწამსი და მსოფლმხედველობა პოლიტიკურად მიუღებელი აღმოჩნდა იმ ძალებისთვის, რომლებიც კაცობრიობის ახალ რჯულზე მოქცევას ცდილობენ.

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვანო მერაბიშვილი
გამომცემელი: შპს „საერთო გაზეთი“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შპს (სტ) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიციას არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრი.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებისთანავე ერთი ჰვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
ინაგრაფია შპს „გამომცემლობა საერთო გაზეთი“; ტელ.: 599 95 31 90

გვესაუბრება საკრებულოს დეპუტატი სოსო მანჯაშიძე:

– სოსო, ბოლო დროს საგარეო და საშინაო საფრთხეებზე საუბარი მთავარ თემად იქცა. ისლამური სახელმწიფო ქრისტიანობას თავზე აზის და ხმის ამოძღვება არაფერია. რა საფრთხეების წინაშე დგას ქართული სახელმწიფო?

– პირველ რიგში, ვთქვათ, ახლო აღმოსავლეთში რა ხდება – საქმე გვაქვს გლობალურ ცვლილებებთან, რომლის ათვლის წერტილი ტუნისის რევოლუციიდან იწყება. შემდეგ, ტალამ ლიბიაში, ეგვიპტეში, სირიისკენ გადაინაცვლა. მანამდე პროცესი ერაყში ვითარდებოდა, საუბარია ერაყის ერთიანი სახელმწიფოს დაშლაზე. ამავე დროს, პროცესები ვითარდებოდა იემენში. ყველაგან, ეს პროცესები, სამ რამესთან დაკავშირებული იყო: საერო ხელი-სუფლებების ცვლასთან, მეორე – შიიტებსა და სუნიტებს შორის ისტორიულ დაპირისპირებასთან, მესამე – ისრაელის სახელმწიფოსთან მიმართებაში, სხვადასხვა აგრესიული გრადაციებით, პოზიციონირებასთან. ყველა ამ პროცესში მთავარ საგარეო პოლიტიკურ ფაქტორს აშშ წარმოადგენდა, რომელიც, ამ რეგიონში, ე.წ. არაბულ გაზაფხულს და რეჟიმების ცვლას მიესალმებოდა. უფრო მეტიც, ტუნისის, ლიბიის და შემდეგ სირიის პროცესებში, ადარაფერს ვამბობთ, პირდაპირ იყო ჩართული. შემდეგ, ამაში, ჩართული აღმოჩნდა რუსეთი და ირიბად ჩინეთი. რუსეთის ჩართულობა, განსაკუთრებით, სირიაში, როდესაც პუტინის მიერ პირდაპირ იქნა ულტიმატუმი წაყენებული, რომ იგი დამასკოს ნებისმიერ ფასად არ დათმობდა, გარკვეულწილად, სირიის რეჟიმის ცვლილებების საკითხზე ზეწოლა შეაჩერა. ერთი მხრივ, ამ რეგიონის სირთულე უნდა გვესმოდეს, მეორე მხრივ, რა პროცესის მოწმე გავხდით და რას დაუდეს სათავე იმ გეო-პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნის ინტერესების გამოხატვის ამბიციურ აღქმებში არიან. ეს უმძიმესი პროცესია, რომელმაც, შეიძლება, სავალლო შედეგებამდე მიგვიყვანოს. პირდაპირ ვთქვათ, ეს პროცესი უკვე მართულად აღარაა და რა შედეგებში გადაივლება, არაფერია იცის. ვილატებს ჰგონიათ, რომ პროცესის მართავენ და ევრაზიის ამ უზარმაზარ სივრცეებში მილიარდობით ადამიანის ურთიერთდაპირისპირებით და შემდეგ არბიტრის როლში გამოვლით, მას ასუსტებენ. მათი, მაგალითად, აშშ-ს პოლიტიკური წონა, იზრდება. ცხადია, არსებობს ასეთი მოსაზრება, კისინჯერი ხშირად ამბობს, რომ ისრაელმა იმის გამო, რომ მას შესაბამისი გეო-პოლიტიკური პარამეტრები არ აქვს, ახლა, ბუფერული ზონები მაქსიმალურად უნდა გაიფართოვოს და პოლიტიკური ძალები უფრო დაასუსტოს და მეტი არაფერი დაზოცოს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მსოფ-

ლიო გლობალური გახდა და დაპატარავდა, სხვადასხვა ფორმებით შურისგება და ასეთი პროცესების ინიცირებისთვის პასუხისმგებლობა ძალიან სწრაფად დგება, მაშინ ჩვენ მსოფლიო პოლიტიკური ელიტის კრიზისზე უნდა ვილაპარაკოთ, რასაც, იგივე, ისლამური სახელმწიფოს მებრძოლების ბარბაროსობა ადასტურებს.

ჩვენ, სახეზეა, სუნიტური ფუნდამენტალიზმის კონსოლიდაცია, მისი ყველაზე უფრო რადიკალური ფრთის გარშემო.

– სო-



სოსო მანჯაშიძე:

შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია — დაუყონებლივ დავიწყოთ მოლაპარაკებები ყველა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოსთან, მათ შორის რუსეთთან, უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შესახებ

სო, როგორ წარმოიქმნა ე.წ. ისლამური სახელმწიფო, რა იდეოლოგიას ეფუძნება იგი?

– მისი მებრძოლთა, ძირითადი, ბირთვი სწორედ, დამასკოს რეჟიმის წინააღმდეგ დაფინანსებული ე.წ. ოპოზიციას. ეს ის მებრძოლებია რომლებიც ასადის რეჟიმს დღემდე ებრძვის და დასავლეთის ფართო მხარდაჭერით სარგებლობს.

ახლო აღმოსავლეთი, ყოველთვის, დაპირისპირების ბუდე იყო, პანდორას ყუთი სრულიად დაუფიქრებლად, საკითხის უცოდინრად გაიხსნა. ამ პანდორას ყუთიდან ჩვენ უამრავი უბედურება მივიღეთ, რომელიც უფრო და უფრო მძაფრდება. არაფერია იცის, ამ პროცესს, როგორ მოუაროს. ამ რადიკალური დაჯგუფებისკენ უფრო და უფრო მეტი ფული, იარაღი, მოხალისე მიედინება. ისლამის დროშის ქვეშ მებრძოლი რადიკალიზმი უფრო და უფრო მეტად ხდება მიზიდულობის ცენტრი. მოდით ასე ვთქვათ, მთელ ახლო აღმოსავლეთში ისლამური ხალიფატის ანტილი დადის. ისლამურ სამყაროში რომელიც ოკეანა და ძალიან მრავალფეროვანია, ყოველთვის იყო იდეა ხალიფატის აღდგენის და ისლამური სამყაროს ერთიანი ხალიფატის ქვეშ გაერთიანების, როგორც ოთხი მართალი ხალიფას დროს იყო. ხალიფატის სიმბოლიკას თუ შევხედავთ, ზუსტად ის წარწერებია, ზუსტად

რიდან და პანკისიდან საომრად 200-მდე ადამიანი წასული, ზოგი 500-ს ამბობს, ზუსტი რიცხვი არაფერია იცის. აქედან გამომდინარეობს საფრთხეებიც, ეს უკვე ნათლად ჩანს. უნდა გვესმოდეს, რომ ის საზღვრები, რომელიც დაწესე-

ვათ, რაც გვაქვს. იგივე უნდა გავაკეთოთ თურქეთთან და, საერთოდ, ყველა სახელმწიფოსთან. ვინც გარშემოა. მათ ამ პრობლემის გადაჭრაში მივეხმარებით, სამაგიეროდ, მათ უნდა მოეცვენ ტექნიკური, საინფორმაციო,

თების შედეგია. ანუ, სახელმწიფო ინსტიტუტებს არ ჰყავთ მრჩეველი. ანუ, ჩვენ, რეალურ ვითარებასთან დაკავშირებით, ადეკვატური მიდგომები არ გვაქვს იმიტომ, რომ ის მოედნები არ არის შექმნილი, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტებს, რეალობის აღქმაში შეუწყობდა ხელს. სახელმწიფო ჩინოვიცი ვერ შეიმუშავებს სახელმწიფოს სტრატეგიას, მას სულ სხვა ფუნქციები აქვს. ჩვენს პარლამენტში ყველამ ვიცით რაც ხდება. მაგალითისთვის ავიღოთ, როცა იმახიან, რომ ევროკავშირი არის მიზანი. როგორ შეიძლება მიზანი ნატოში ან ევროკავშირში გაწევრიანება იყოს, ეს ხომ სისულელეა. მიზანი ეს არა საშუალებაა, რათა შენი ეროვნული ინტერესები განხორციელდეს. როგორ გგონიათ ევროკავშირში რომ შევალთ უკეთეს დღეში აღმოვჩნდებით?

– ევროკავშირს, დღეს, საკმაოდ ძლიერი ქვეყნები ტოვებენ. ჩვენ, მართლაც, რისი იმედი გვაქვს?

– დიახ, ტოვებენ იქედან გამომდინარე, რომ ევროკავშირს ნიველირებული საკანონმდებლო და ეკონომიკური მართვის მოდელი აქვს, რომელიც განვითარებული და ჩამორჩენილი ქვეყნების კავშირის წვერებს, თანაბარ პირობებში აყენებს, რაც, ჩამორჩენილ ქვეყნებს, არავითარ შანს არ უტოვებს განვითარებულს დაწვინოს. ჩვენ, ისედაც მოვალეები ვართ. რაც მოხდა ევროკავშირში — ბუღვარეთთან, რუმინეთთან, საბერძნეთთან დაკავშირებით, ვნახეთ. ევროკავშირი ქვეყნებთან, საერთოდ, ინდივიდუალურ ხელშეკრულებებსაც არ დებს. ამ ეტაპზე, იქ შესვლა ქვეყნის ჩამორჩენილი-



ბული გვაქვს, ამ ორგანიზაციისთვის, აბსოლუტურად, არაფერს წარმოადგენს. ანუ, ისინი კავკასიას, აზერბაიჯანს, საქართველოს სხვა კუთხით უყურებენ ისე, როგორც შუაზიას, ავღანეთს და ა.შ. ანუ, ეს მათთვის ერთიანი რეგიონია, სადაც რადიკალურმა ისლამმა უნდა გაიმარჯვოს.

– რა გამოსავალი არსებობს?

– ჩვენ გვაქვს საგარეო საფრთხეები ყველა მხრიდან და შიდა არეულობა უმწვავესი საგარეო გეო-პოლიტიკური საფრთხეების ფონზე. მაგრამ არ არსებობს ვითარება სადაც გამოსავალი არაა თუ, რა თქმა უნდა, ადამიანი ვინიერულად მიუღებდა. ეს მდგომარეობა, ჩვენს გარშემო, თავის თავში, გარკვეულ, შანსებს ატარებს.

– რას გულისხმობთ?

– მოგახსენებთ. დღეს, ეს უმძიმესი ვითარება, შეიძლება, თავის გადასარჩენად და ჩვენი პოზიციების გასაძლიერებლადაც კი გამო-

ფინანსური დახმარება იმისათვის, რომ ჩავატაროთ რეფორმები, ჩამოვყალიბოთ სერიოზული რეზერვი, მოგამზადოთ ჩვენი მოსახლეობა საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ანუ ეფექტური თავდაცვის სიტემა შევქმნათ. უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენ არავის არ ვესხმით, ანუ ჩვენი გაძლიერებული არმიით, რეზერვით, სპეცსამსახურებით ვიცავთ ჩვენივე ტერიტორიას და ამით ვიცავთ მათ ინტერესებს. ეს უნდა იყოს ფორმულა. ანუ, ჩვენს მიერ ჩვენი პერიმეტრის დაცვა, ამ შემთხვევაში, აწეობს აზერბაიჯანს, გამომდინარე იქედან, რომ მას სასიცოცხლოდ სჭირდება საქართველო როგორც ტრანზიტული დერეფანი. იგივე სჭირდება თურქეთს. რუსეთს საქართველო სჭირდება იმ თვალსაზრისით, რათა ჩრდილო-კავკასია კვლავ არ აფეთქდეს. სომხეთს, ამ შემთხვევაში, თუ რუსეთს მოველაპარაკებოთ, მისგან

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში www.saertogazeti.ge შემოთავაზებული FACEBOOK-ზე **საერთო გაზეთი**



თავის გასამართლებლად მერაბიშვილის უწყვეტად ეს შემთხვევითი გასროლა დააბრალა ე.წ. თავდასხმელებს. რატომ გაიყვანეს სპეცრაზმი სამი საგარეო დამნაშავეის დასაკავებლად, პროფესიონალ პოლიციელებში დიდ ეჭვს ბადებს. დავით გაგინიძის განცხადებით, სპეცრაზმის ღონისძიებაში ჩართვის უფლება მხოლოდ შს მინისტრს ან მის მოადგილეს აქვს, ირაკლი ფირცხალავა მართალია კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო, მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებას ის დამო-

გავიხსენოთ ნაციონალების მიერ ჩატარებული ე.წ. სპეცოპერაციები, რაღაც არ მახსოვს რომელიმე მათგანი უსისხლოდ დამთავრებულიყო. „ვარდონიძე“ ჯერ ხელისუფლებაში არც კი იყვნენ მოსულები, როცა ფინიჭალის დასახლებაში რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლეს. გია ბარამიძის შს მინისტრობის დროს პოლიციამ ქუთაისში ჩატარა ე.წ. დამნაშავეთა აფანის სპეცოპერაცია, რომელსაც რატომღაც იმერეთის მაშინდელი გუბერნატორი დავით მუშლაძე ხელმძღვანელობდა. ამ ე.წ. სპეცოპერაციამ შემთხვევითი გამეღვლი, ახალგაზრდა ფეხმძივე ქალი შეიწირა, მაგრამ ეს აბაგი ყველას დაავიწყდა. ამის შემდეგ იყო



უკიდურესად ვერ მიიღებდა, ე.ი. კვალს უფრო ზემოთ მიგვაყვარო. გამოიძიება ალბათ დაადგინა, ვის გაუვარდა ავტომატი, რომელსაც ამხელა ტრაგედია მოყვა. რამდენიმე დღის წინ თბილისის სპეცრაზმის ყოფილმა უფროსმა, ამჟამად პატიმარმა კახაბერ ნაკანმა თვითმკვლელობა სცადა და სამართლებრივ მრავლობითი დაზიანებები მიიყენა. სწორედ ის ხელმძღვანელობდა კორტების ე.წ. სპეცოპერაციის დროს სპეცრაზმს. სუიციდის მცდელობის მიზეზად ნაკანის მოთხოვნის უგულვებელყოფა დაასახელეს, იგი გლდანის №8 დაწესებულებიდან მატროსოვის ციხეში გადაყვანას ითხოვდა, რამდენად შეეფერება ეს ვერსია სიმართლეს იმედია გამოიძიება დაადგენს, თუმცა პროფესიონალებში ეჭვს ბადებს, ისინი უფრო სხვა მიზეზებს ხედავენ. ჩვენ არავისთვის გვინდა შეურაცხყოფის მიყენება, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რამდენად მართებულია სუიციდისკენ მიდრეკილი ადამიანის სპეცდანიშნულების რაზმის ხელმძღვანელად დანიშვნა და საერთოდ გასარკვევია, რა ფსიქოლოგიისა თუ ფსიქიკის ადამიანებთან დაკომპლექტებული თუნდაც შს-ს სპეცრაზმი. კი ბატონო, პატივს ვცემთ სპეცრაზმელებს, მაგრამ საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს მათი უფლება-მოვალეობები და ისიც, რა კატეგორიის ხალხია. იგივე 7 ნოემბრისა და 26 მაისის აქციების ვან-დალური დარბევამ საზოგადოებაში ბევრი ეჭვს გააჩინა. ასეთი სისასტიკით არათუ უიარაღო, მშვიდობიანი თანაც საკუთარ მოსახლეობას, მტერსაც არ მოექცევა ჯანსაღი ფსიქიკის ადამიანი. ეს „მარბიელები“ სპეცრაზმის კი არა, მკვლელთა ბანდის შთაბეჭდილებას, უფრო ტოვებდა. დარწმუნებული ვართ ბევრი მათგანი დღესაც აგრძელებს სახელმწიფო სამსახურში მუშაობას. სპეცრაზმელებს უარი უთქვამთ ბოროტში ჩატარებულ სპეცოპერაციაში მონაწილეობაზე, რამაც ნაციონალების დიდი მოწონება დაიმსახურა. უარის მიზეზი კორტების სპეცოპერაციაში მონაწილეობა დაპატიმრება გაიხსნა, რა გარანტია გვაქვს, მერე ჩვენც არ დაგვიჭერენო. ნამდვილად არ ვიცი რამდენად ჰქონდათ სპეცრაზმელებს ამ უარის უფლება, საეჭვოა მათთვის უკანონო ბრძანების შესრულება დაევალებინათ, თუმცა იმაში კი დარწმუნებული ვარ, რომ ეს სპეცოპერაცია ნაცრეყვის დროს რომ ჩატარებულიყო, შალვა აბულაძე ცოცხალი ვერ გადარჩებოდა.

აფრასიძეების დაკავების სპეცოპერაცია, როდესაც გამოიწივს ათასობით სპეცრაზმელი დაესხა თავს ჩამოხრულ სოფელს. მშვიდობიანი მოსახლეობას ვერტმფრენებიდან ბომბავდნენ, ევენი აფრასიძე საკუთარ სახლში ცოცხლად დაწვეს, მისი ხელობიკო დადებული ვაჟი კი სახალხოდ დახვრიტეს. „ტურორისტები“ არუთინიანის აფანას პოლიციის სიცოცხლე ემსხვერპლა, ნავთილის „სპეცოპერაციის“ დროს სამი უიარაღო ახალგაზრდა უმოწყალოდ ჩაცხრილეს და ბოლოს მათ მიმართ საკონტროლო გასროლებიც განახორციელეს. ამ სისხლიანი ე.წ. სპეცოპერაციების ჩამოთვლა შორს წავიყვანს. ამ ყველაფრის შემდეგ, რომელ მაღალი ღონის პოლიციასა და პროფესიონალიზმზე შეიძლება საუბარი, მაგრამ, როცა ადამიანის სინდისის ძაფი გაწყვეტილი აქვს, უძელო ენა ყველაფერს იტყვის. თუ დღევანდელ პოლიცია-პროკურატურაში პროფესიონალიზმი მოიკოჭლებს, ეს ნაციონალების „დამსახურება“ ვახლავთ, რადგან ეს უწყებები ძირითადად ისევ მათ მიერ მიღებული უცოდინარი, გამოუცდელი კადრებითაა დაკომპლექტებული. ვინმემ ამ ხალხის გაშვება რომ დააპიროს, ერთ ამბავს ატყუებენ ნაციონალები და მათი სატელეტი არასამთავრობოები მათ პოლიტიკური ნიშნით ღვენიანო. ამ არაპროფესიონალიზმის ბუმს კი ქვეყნის ინტერესები ეწირება. ნაცრეყვიმ ისე გააზარდა საგამომიღობო და ოპერატიული სამსახურები, რომ მათ ახალ რეალობასთან შეგუება უჭირთ. სააკაშვილის მმართველობისას სასამართლოს მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქცია ჰქონდა, პროკურატურის მიერ წარდგენილ ნებისმიერ დოკუმენტს უსიტყვოდ აკანონებდნენ. აქედან გამომდინარე მტკიცებულებების შეგროვებაზე თავს არავინ იწუხებდა, რადგან იცოდნენ სასამართლოში პრობლემა არ შეექმნებოდათ, ორი-სამი ფარტინა ფურცლის საფუძველზე სასურველ გადაწყვეტილებას მაინც მიიღებდნენ. დღეს სულ სხვა ვითარებაა, სასამართლო მეტნაკლებად დამოუკიდებელია, არამფარ მტკიცებულებას, მით უმეტეს თუ ნაციონალებს უკავშირდება, სასამართლო ბრძიდ ადარ დააკანონებს, ამიტომაც მართლდებიან ასე მიყვლილები უამრავ მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი პერსონები.

მანანა სუხოვილი
599 51 28 24
(გაგრძელება იქნება)

შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია — დაუყონებლივ დავინყოთ მოლაპარაკებები ყველა ჩვენს მეზობელ სახელმწიფოსთან, მათ შორის რუსეთთან, უსაფრთხოების ერთიანი სისტემის შესახებ



3 გვ.

ნალების“ ეპოქაზე უარესი ზომ არ გველის?

ბას განაპირობებს. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროკავშირი როგორც სუპერ-სისტემა, თვითონ, მდგრადი არაა. მისი წევრები მას პანტა-პუნტი ტოვებენ და შეიძლება, მალე, როგორც სისტემა, გეო-პოლიტიკურ ძალთა ბალანსის ცვლილების შედეგად დაიშალოს.

ახლა, ჩვენ, გაყურსული ვართ ისე როგორც კურდღელი გაიფურსება ბალახში იქნებ ვერ შეამჩნიონ, როცა მის თავს ზემოთ არწივებს შენიშნავს. აი, ეს პოლიტიკა გვაქვს. ბოლოს შეგვაშინებენ. შემჩნეულებიც ვართ, უბრალოდ არწივები ეჩხუბებიან ერთმანეთს და გვერდობა, რომ ვერ შეგვაშინებს. ახლა კურდღლის მდგომარეობიდან უნდა გარდავიქნათ და სხვა მდგომარეობაში გადავივლით.

— ეს არხინობა მართლაც დაგვლუპავს. დღეს ისლამური სახელმწიფო აცხადებს, რუსეთს გავანადგურებო. მას განადგურებენ, ჩვენ დავცინდობენ?

— თავისთავად ცხადია, თუ რუსეთის განადგურებაზე ლაპარაკი, ამ შემთხვევაში, ჩვენ და სომხები მიყოლილი ვართ. ისინი არც მუსლიმებს არ ინდობენ. ისლამის დროში იბრძვიან რადიკალური ძალები, რომელთაც უნდათ ისლამურ სამყაროზე ამ რეუსებსზე, უზარმაზარ მასივზე კონტროლის დამყარება, თავისი ატომური იარაღით. მუსლიმი 2 მილიარდამ-

— არის აბსოლუტური უკულტურობა. ადამიანი საჯარო სივრცეში რომ ილანდლება, იმუქრება, იფურთხება და ის კვლავ საჯარო სივრცეში რჩება, ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებას ტენიში ფილტრაციის სისტემა გაფუჭებული აქვს. არსებობს ცენზურა, რომელსაც საზოგადოება აწევს. იმ ცენზურის პატივისცემა თითოეულ ადამიანს უნდა ჰქონდეს. თუ ადამიანი კულტურის ცენზურას არღვევს, მაშინ იგი მიუღებელი ხდება და საზოგადოება მას ოსტრაკიზმს უწყობს. ადამიანები რომლებიც ლანძღვით, გინებით, აგრესიით, ცილისწამებით და ათასი საგმირო საქმეებით არიან განთქმულნი, ჩანან ავანსცენაზე და ამ დროს საზოგადოება დუმს, აქ პრობლემა საზოგადოებაშია. როგორ შეიძლება, საერთოდ, ასეთი ტიპის შოუები, გამოცემები და საინფორმაციო საშუალებები არსებობდეს? ეს ზომ ნიშნავს, რომ დავიღუპეთ, ცენზურა აღარ გვაქვს, ვეღარ ვარჩევთ ავს და კარგს, ღონეებში ადრევე გვაქვს. ვინც უფრო მეტად იყვირებს და დაიბუქება საჯარო სივრცეში, უფრო მოწონს. შე მამაცხონებულო, თუ რაღაცის გაკეთება გინდა შეიძლება, აცხადებდე ამის გაკეთება მინდაო, ვის უცხადებ? ხალხი შეიძლება ასეთ ადამიანს სერიოზულად აღიქვამდეს — ხედავ, რა კარგად დაიბუქაო? თუ რამის გაკეთება გინდა, გააკეთე, რას იმუქ-



დღეა. თან ქსელია შექმნილი, კონტაქტებია. რადიკალებს, ამოუწურავი ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსები აქვთ. ამ დროს, ჩვენ, სრული სისულელეებით ვართ დაკავებული ნაცვლად იმისა, რომ ყველა ძალასთან ახლა კონტაქტს ვეძებდეთ, ვაქტიურებდეთ შიდა რესურს და ვაკეთებდეთ იმას, რაზეც ვსაუბრობდით. ზოგი ძალიან სერიოზული ადამიანის სტრატეგიაა, არაფერი ვაკეთოთ. ამბობენ, ჩვენ არაორგანიზებული რომ ვართ, ეს თურმე, ჩვენი მენტალური თავისებურებაა, რომელიც ხანდახან სასარგებლოა. ასე არაა, ეს მენტალური თვისება კი არა გამოტყინებულია, უგუნურებაა. ასეთი მიდგომები დამღუპველია. ზომ ვნახეთ, რა მოხდა ეგვიპტეში, სირიაში, ლიბიაში. ლიბია, ერთ დროს აყვავებული ქვეყანა, დღეს დანგრეულია, ზუთ ნაწილადაა დაშლილი, არავენ იცის რამდენი ადამიანი დაიღუპა. ერაყში 2 მილიონი კაცია დაღუპული. სირიაში არავენ იცის რამდენია დაღუპული, გინდაც ავღანეთში. ეს სულ ჩვენი სამეზობლოა. უკრაინა ავიდოთ. იქ რაც მოხდებოდა სამი-ოთხი წლის წინ ვთქვი თქვენს გახეთში, ეს გეო-პოლიტიკური კანონზომიერებებია.

— სოსო, საშინაო საფრთხეებსაც შევეხოთ, პოლიტიკაში ექსტრემალური დაჯგუფებები გამოჩნდნენ, ზოგი ენის მოჭრით იმუქრება, ზოგი რით. რა ხდება, „ნაციო-

რები? მულტფილმი გამახსენდა — „პეპინო მიდის ბანკის გასაძარცვად“, მიუღმა ქალაქმა რომ იცის, პეპინო ბანკის გასაძარცვად მიდისო, ასეთი რამ გვეჭირს ჩვენ ფეისბუქში და ყველაგან — სხედან კლავიატურასთან და გაიბახანან მე თქვენ ამას გიზამთ. როცა ეს პრობლემაა, რაზე ვსაუბრობთ საერთოდ. ადრე, თემი არსებობდა და ადამიანი ცუდს რომ გააკეთებდა, განკვეთავდნენ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, ფეისბუქზე კაცები და ქალები ღიად რომ იგინებინ, ბილწისიტყვაობენ, ამ უბინძურესად მობილწისიტყვავე ადამიანებისგან პრესა თუ ტელევიზია აქოთდა. მეორე წუთას ვინც იგინებოდნენ, ისეთ რელიგიურ პოსტებს დებენ, ისეთ ღვთაებრივ განცხრობაში არიან, გაიკვირდებო. შეუთავსებელია ერთმანეთთან, როცა ერთ დღეს იგინები და მეორე დღეს თავს მლოცველად აცხადებ. ეს ადამიანის ფსიქიკის დანგრევას იწვევს, მაგრამ თუ იგი ამას ხშირად აკეთებს ადეკვატურობას კარგავს. ასეთებდა ვართ გადაქცეული რელიგიური სენტიმენტალიზმის შედეგად. ამან მთელი კულტურები, ცივილიზაციები დაღუპა — რელიგიური სენტიმენტალიზმი ძალიან შეუთავსებელია ნამდვილ რელიგიურობასთან.

თამარ შველიძე
555 23 28 24



გვესაუბრება სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში გელა ღუმბაძე

– ბატონო გელა, რამდენად ვიცით, ბოლო თვეებში ბევრი იმოგზაურეთ საზღვარგარეთ, რა მიზნები და ამოცანები გამოძრავებდათ? ერთი სიტყვით, მოგვიყვით ამ სამუშაო ვიზიტს შედეგებით.

– მე პრემიერის დავალებით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მომიწია მოგზაურობა. შევხვდი ჩვენს დიასპორებს. საბერძნეთში, აშშ-ში, საფრანგეთსა და ესპანეთში. დავეხმობი მაქვს ვიზიტები სტრასბურგში, ბრიუსელში, სომხეთის რესპუბლიკაში, გერმანიაში, იტალიაში, უკრაინაში, ისრაელში და ბოლოს ფერეიდანსა და ისპაჰანში.

ქვეყნები მე თვითონ შევარჩიე სირიულის მიხედვით. პირველად საბერძნეთში გახლდით, სადაც 200 000-მდე ჩვენი თანამემამულე იმყოფება. შევხვდი მათ საკვირაო სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბოლოს გაერთიანებული შეხვედრა გვეკონდა თესალონიკის თეატრში. იყო ემოციები, საყვედურებიც, მაგრამ ბოლოს მაღლობები მიხადეს – კარგია, რომ მხოლოდ წინასწარჩვენოდ არ გახსენდებით. მაღლობა გამოთქვეს იმისთვისაც, რომ კარგად ვიცნობთ მათ პრობლემებს და მზად ვართ ამ პრობლემების გადასაჭრელად.



უნდა გითხრათ, რომ მე, პირადად, როგორც მინისტრი, გავედი თმონასს ქუჩაზე, სადაც უამრავი ჩვენი თანამემამულე მუშაობს და იქ ადგილზე ვნახე, როგორ იდგა რიგში 100-მდე ქალი თანხების გადმოსარიცხად. ბოლო კაპიტალი აგზავნიან თავიანთ დანაზოგს... ამ ქალების საქციელს მე ვუწოდებ სოციალურ გამბრუნებას და ეს არის მამაკაცების სირცხვილი.

შემდეგ აშშ-ში გახლდით, ხაზს ვუსვამ, ფართო, ჩემთვის არაკომფორტული ფორმატით. მოვითხოვე, რომ მოსულიყო ყველა, ნებისმიერი პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი. ამ ფორმატში მქონდა შეხვედრები ვაშინგტონში, კალიფორნიაში, ნიუ-იორკში.

შევხვდი, ასევე, სახელმწიფო დეპარტამენტის ორი ბიუროს წარმომადგენელს. მქონდა ვიზიტები მსოფლიო ბანკში, იუესაიდში, განსაკუთრებით საინტერესო იყო სახელმწიფო მდივნის კერის წარმომადგენელთან ენდრიუ ობრაიენტთან, რომელთანაც ვისაუბრეთ, ზოგადად, საქართველოში არსებულ სიტუაციაზე, ასევე დიასპორების პოლიტიკურ ურთიერთობებში შესაძლო ჩართვის თაობაზე.

შემდეგ საფრანგეთში მქონდა ვიზიტი, სადაც ლევილის მამუ-

ლის ქართული კომისიის თავმჯდომარეს შევხვდი. შეხვედრა ჩატარდა ლევილში, ჩვენი პირველი რესპუბლიკის ხელმძღვანელის შთამომავლებთან, მათთან, ვინც განაგებს ლევილის მამულს და საქმიან ფორმატში გადავწყვიტეთ – ლევილის მამულის მოწყობის შემდგომი ფორმატი იქნება მედიის ტიპის ორგანიზაცია, სადაც უზრუნველყოფილი იქნება საქართველოდან წასული ასპირანტების, მაგისტრან-

გელა ღუმბაძე:

საქართველოა ყველგან, სადაც თუნდაც ერთი ქართველი სხოპრობს...

ბის, სტუდენტების მონაწილეობა და ჩართვა, სხვადასხვა პროექტების, სამეცნიერო ნაშრომების კეთება, ეს კი იქნება იმის გარანტი, რომ ლევილის მამული არ გადაიქცევა რამდენიმე ოჯახის



საზაფხულო აგარაკად და იქნება მუდმივი, მჩქეფარე ქართული მოღვაწეობა. ჩაფიქრებული გვაქვს, ეს იყოს ქართულ-ფრანგული აკადემიის მოღვაწე. უდიდესი პერსპექტივა აქვს ამ მამულს. იქ შეიძლება გაკეთდეს შემოქმედებითი ლაბორატორიები, მუზეუმი, ბიბლიოთეკა, რომლის მშენებლობა დაწყებულია და ჩვენი მამულის მესვეურებს, ვინც შეინახა იქაურობა, მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით ძალიან თბილი მოკითხვა შევუთვალო.

შევხვდი ასევე ჩვენს დიასპორას მადრიდში. მოვიხსენიე ქართული ტაძრები, როგორც მადრიდში, ასევე ბარსელონაში და აშშ-შიც კი.

მკითხველს მეტი წარმოდგე-



ნა რომ შეექმნას, ვიტყვი, რომ ეს არის შენობებში მოწყობილი სალონავები. აქვე ხაზს ვაკუსვამ ქართული ეკლესიის დიდ მისიას, რადგან ეკლესიები დიასპორის თავშეყრის ძირითად ადგილად არის ქცეული. სწორედ ამიტომ, 27 მაისს ვატარებთ პირველ დიასპორულ პროფესიულ ფორუმს, სადაც ძირითადად წარმოდგენილი იქნება სასულიერო პირები, რომ-

გელა ღუმბაძე:

საქართველოა ყველგან, სადაც თუნდაც ერთი ქართველი სხოპრობს...

დიასპორის კრებისთვის პრობლემას წვევებენ.

– ბარემ ისიც ვთქვათ, საქართველოს საპატრიარქო რა როლს ასრულებს ამ საქმიანობაში?

– ბუნებრივ რიგს. მინდა გითხრათ, რომ ბოლო ვიზიტის შემდეგ შევხვდი მის უწმინდესობას, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და მოვუყევი იმ პრობლემების შესახებ, რაც ჩემი თვალთ ვიხილე.

თესალონიკიში ყოფნისას წინასწარი შეთანხმების საფუძველზე შევხვდი თესალონიკის მიტროპოლიტს და შემდეგ გადაწყვიტეთესალონიკიში შაბათ-კვირას ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარების საკითხი.

რაც შეეხება მომავალ ვიზიტებს, ვგეგმავ გერმანიაში, იტალიაში, უკრაინაში, ისრაელში წასვლას და როგორც უკვე გითხარით, ბოლოს ირანის ისლამურ რესპუბლიკას ვეწვევი.

– რუსეთში არ აპირებთ ჩასვლას?

– რუსეთთან, სამწუხაროდ, მოგესხნებათ, პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობები არ არსებობს. მე ოფიციალური პირი ვარ და მოკლებული ვარ იმის საშუალებას, რომ იქ ჩავიდე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, ჩვენი კონფლიქტების მოგვარებამდე.

არსებობს პოლიტიკური მოცულობები და პერსპექტივაში გლობალური პოლიტიკური ხედვა. რუსეთის სახელმწიფოში არსებული ნახევარი მილიონი ქართველი დასაკარგი არ არის. მათ

უნდა იცოდნენ, რომ ჩვენი მათზე ვფიქრობთ და ჩვენი კარები ყოველთვის ღიაა მათთვის. ისინი არიან საქართველოს შეილები. ეს არის უდიდესი ძალა – ექიმები, შემოქმედი ადამიანები, მწერლები. თქვენი გაზეთის საშუალებით მათ ვუგზავნი გულითად მოკითხვას. დიას, ისინი ჩვენ გვჭირდებიან. გვანტერესებს მათი აზრი, პოტენციალი. ისინი ჩვენი განუყოფელი ნაწილი არიან.

– თქვენ რამდენიმე ქვეყანაში იმოგზაურეთ, რა არის საერთო ამ ადამიანებისთვის, რა საერთო პრობლემა აქვთ?

– დიპლომატიის ნაკლებობა არის მთავარი პრობლემა, დიდი ნოსტალგია ქვეყნის მიმართ, სა-

გელა ღუმბაძე:

საქართველოა ყველგან, სადაც თუნდაც ერთი ქართველი სხოპრობს...

მუშაო სტაჟის აღიარება ქვეყნების მხრიდან, პენსიებთან დაკავშირებული საკითხები, სოციალური ასპექტები.

– თქვენ, ალბათ, გახსოვთ, ამ ორიოდე წლის წინათ პატრიარქმა ბრძანა – ყველა ქართველი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, საქართველოს მოქალაქე უნდა იყოსო. სამწუხაროდ, საქართველოდან წასულ ქართველებს, რომლებიც უცხო ქვეყნების მოქალაქეობას იღებენ, პრობლემები უჩნდებათ ორმაგი მოქალაქეობის მიღების კუთხით. რა კეთდება ამ პრობლემის მოსაგვარებლად?

– ეს მართლაც დიდი პრობლემაა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხელისუფლება ამ მიმართულებით



აქტიურად მუშაობს. ის საკითხები, რომლებიც მოუგვარებელი იყო წინა ხელისუფლების პირობებში, პრაქტიკულად, გვარდება. ადამიანებმა, რომლებმაც მიიღეს ორმაგი მოქალაქეობა, ზოგი უკან დაბრუნდა, ზოგიერთი წელიწადში რამდენიმეჯერ ჩამოდის საქართველოში. ასე რომ, პრობლემა ნელ-ნელა აღმოიფხვრება.

გასაკებაა, რომ ჩვენს თანამემამულეებს გარკვეული მიზეზების გამო მოუწიათ საქართველოდან წასვლა, მაგრამ, ვიცი, მათ სურთ იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მათი სამართლი-

ნი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს. – რამდენიმე წნის წინ საინგილოში ბრძანდებოდა. საზოგადოებაში ხშირად ისმის, რომ ქართველებს იქ არ ექცევათ სათანადო ყურადღება. რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს? რა ყოფაში არიან იქ ქართველები და, საერთოდ, რა ვითარებაა საინგილოში?

– დიას, მე ვახლდით საინგილოში. შევხვდი იქაურ ქართველებს და უნდა გითხრათ, რომ იქ მართლაც არის გარკვეული სახის პრობლემები. თუმცა მე მაინც მიმაჩნია, რომ ეს პრობლემები მოგვარებადი. ჩვენს მეგობარ სახელმწიფოსთან, აზერბაიჯანთან და მის ხელისუფლებასთან ამ საკითხებში შეთანხმება და შესაბამისი კომპრომისები არ უნდა გავჭირდეს.

საინგილოს თემასთან დაკავშირებით, მე 17-გვერდიანი ანგარიშიც მოვაგზავნე და მიმაჩნია, რომ აზერბაიჯანული მხარე თანამშრომლობაზე თანახმა იქნება და როცა ეს საკითხები დღის წესრიგში დადგება, აზერბაიჯანული მხარე მათ მოგვარებას არათუ შეუშლის, არამედ ხელს შეუწყობს კიდევაც.

მე მაინც მიმაჩნია, რომ აქ, რამდენადმე, სცოდავდა ქართული მხარე: ელუარდ შევარდნაძეს, რომელიც მჭიდროდ მეგობრობდა ჰეიდარ ალიევთან, დარწმუნებული ვარ, არასდროს სიტყვაც არ დაუძრავს საინგილოს ქართველებთან დაკავშირებით.

ჩვენ არ გვაქვს უფლება, ჩვენს თანამემამულეებს, სადაც



როინ ადაშვილი

„ცეკავშირის“ ქონება ერთმა კრიმინალურმა ჯგუფმა მიიტაცა. საგურამოს სათბური, რომელიც ამჟამად ლულსახარშ „ზედაზენს“ და ცეზარ ჩოჩელის ეკუთვნის, ჩოჩელისგან განცხადებით, კანონიერად არის შეძენილი. რაც ტყუილია. მან ტელევიზიით თქვა, რომ 1 ჰა მიწის ნაკვეთში 1000 ლარი გადაიხდა. საუბარია 25 ჰექტარზე. შესყიდვა მოხდა მაშინ, როცა 7 ჰა-ზე გადაშლილი იყო უნიკალური სათბური. ამ სათბურებს ახლა ებრაელები ყი-

გვესაუბრება „ცეკავშირის“ თავმჯდომარე, ბატონი როინ ადაშვილი

– ბატონო როინ, ჩვენი ბოლო ინტერვიუდან თითქმის ერთი წელი გავიდა, რა სიახლეებია ცეკავშირის შენობასთან და კოოპერაციის საქმესთან დაკავშირებით?

– ჩვენი ბრძოლა კვლავაც გრძელდება. ოღონდ მიმდინარეობს, ასე ვთქვათ, ორ ფრონტზე. ერთი – ქონების დაბრუნების მიმართულებით და მეორე ქართული კოოპერაციის აღორძინების კუთხით.

ქონების დაბრუნების კუთხით ახსადის, მუშაობს, ხაზარადის და სხვების მიერ მოპარული ცეკავშირის კუთვნილი ქონების დაბრუნებისთვის ვიბრძობთ. სამწუხაროა, რომ ამასობაში ყოფილი ცეკავშირის ისტორიული შენობა დაანგრიეს და უკანონოდ გადასცეს ფონდს.

ჯერ კიდევ 2012 წელს შეეიტანეთ განცხადება კოოპერაციის ქონების დაბრუნების მოთხოვნით. საქმე, როგორც ჩემთვის ცნობილია, ახალშექმნილ სტრუქტურას გადაეცა, თუმცა დაკითხვაზე ჯერ არავის მიუხედავებოდა.

ცხადია, საუბარი მხოლოდ ცეკავშირის ქონებაზე არ მიმდინარეობს. ცეკავშირი ცალკე იურიდიული პირია. დღესდღეობით ვიბრძობთ საქართველოს ცეკავშირისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით ჩამორთმეული

ქონების დასაბრუნებლად. ამაზე მე თქვენს გაზეთს აღრიხეულ პუბლიკაციებში ვესაუბრე.

საქმე ისაა, რომ ქონების ჩამორთმევა მოხდა იმ მოსამართლეების და პროკურორების მემკვიდრეობით, რომლებიც, შესაძლოა, დღესაც თანამდებობებზე არიან, ამიტომაც ფერხდება საქმის გამოძიება.

თუმცა ჩვენ მუშაობას არ ვწყვეტთ. ვაღგენთ ბიზნეს-გეგმებს. რომელთა განხორციელების შემთხვევაში დასაქმდება მოსახლეობა, გაიზრდება შემოსავლები.

კოოპერაციის ჩვენეული მოდელი უნიკალურია მსოფლიოში, რადგან იგი იქმნება ყოველგვარი შენატანის გარეშე, ნებაყოფლობით.

ჩვენი გეგმის მიხედვით შესაძლებელია მოსახლეობის 80-90%-ის დასაქმება. ოჯახი, სოფელი და ქვეყანა წელში გაიმართება.

ამ საკითხებზე ვმუშაობთ ათეული წლების განმავლობაში. თუმცა აბსოლუტური ყურადღება არ იგრძნობოდა წინა ხელისუფლების მხრიდან. ახალი ხელისუფლებისგან რეაგირებას კი უკვე მესამე წელიწადია ველოდებით. იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ბოლოს და ბოლოს მოიცლის ქართული კოოპერაციისთვის.

– კვლავ ქონებრივ დავას რომ მივუბრუნდეთ, როგორც ვიცით, საქართველოს ცეკავშირის და კოოპერაციას დღეს არავითარი ქონება არ გააჩნია.

– ცეკავშირის ქონება ერთმა კრიმინალურმა ჯგუფმა მიიტაცა.

საგურამოს სათბური, რომელიც ამჟამად ლულსახარშ „ზედაზენს“ და ცეზარ ჩოჩელის ეკუთვნის, ჩოჩელისგან განცხადებით, კანონიერად არის შეძენილი. რაც ტყუილია. მან ტელევიზიით თქვა, რომ 1 ჰა მიწის ნაკვეთში 1000 ლარი გადაიხდა. საუბარია 25 ჰექტარზე. შესყიდვა მოხდა მაშინ, როცა 7 ჰა-ზე გადაშლილი იყო უნიკალური სათბური. ამ სათბურებს ახლა ებრაელები ყი-

ციხეში, ასევე მოხდა ბორჯომში. გურიაში, ერთ-ერთი კავშირის თავმჯდომარეს ხელბორკილები დაადეს. ამ ადამიანს იქვე უმტყუნა გულმა და გარდაიცვალა. აჭარის ცეკავშირის თავმჯდომარეს დაკითხვის შემდეგ სახლში მისულს გული გაუსკდა.

ეს იყო ნაციონალური რეჟეტი „ცეკავშირის“ წინააღმდეგ.

დავით მუშლაძემ, რომელიც ადრე ცეკავშირის თანამშრომელი იყო, ხოლო ნაციონალების დროს ქუთაისის გუბერნატორი, გა-

2006 წლის შემდეგ მიმდინარეობს გამოძიება. უკვე 9 წელიწადი გავიდა, თუმცა საქმეს ძერა არ აქვს. ცეკავშირის საქმე იმდენად ჩახლართული იყო, აღვიშვებლაც ვერ გაბედა, ეს საქმე დაეხურა.

2013-14 წლებში ჩვენ აქტიურად ვიმუშავეთ, რომ იტყვიან, დღე და ღამე ფინანსური პოლიციის შენობაში ვიყავით და მინდა მადლობა ვთქვა გამოძიების მისამართით, რომელიც მართლაც პროფესიონალურად უდგებოდა საქმეს. გვარს არ დავასხელებ,



დან 1 ჰა-ს 2-3 მლნ ლოლარად, სათბური პოლიეთილენის პარკით არის გადახურული, არადა, თავის დროზე მინაში იყო ჩასმული. ვერაფერს იტყვი.

2006 წელს პროკურატურამ რაიკავშირების თავკაცებს დაერია. ზოგი დაიჭირეს, ზოგი ნერვიულობისგან გარდაიცვალა. მაგალითად, საშურის რაიკავშირის თავმჯდომარე 6 თვე იჯდა

ნაცხადა, მიშამ მაჩუქა ცეკავშირის ქონება ვარდების ფასადო.

– ვარდების ფასადო?

– დიახ, „ვარდების რევოლუციის“ დროს 200 ლარის ვარდი იყიდა სააკაშვილის და მისი მეგობრებისთვის. დავით მუშლაძის ნაყიდ ვარდებს აფრიალებდა მიშა პარლამენტში. აი, ასეთი ხალხის ხელში აღმოჩნდა საქართველოს ცეკავშირის ქონება.

ცეკავშირის და კოოპერაციის მტრები იმ გამოძიებებს არ გადაეკიდონ.

თუმცა საქმე გამოძიებულია, მსვლელობას არ დაადავა საშველი. ჩვენი ინფორმაციით, 2014 წელს ნაცვლიშვილმა შემოღო თაროზე და მას შემდეგ მას ხელს ვერაფერს ჰკიდებს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

დროული ვაქცინაცია ჯანმრთელობის საწინდარია!

საქართველოში 2013 წლიდან წითელას შემთხვევების მნიშვნელოვანი მატება დაიწყო, რომელმაც ეპიდემიოლოგიის სახე მიიღო, სტატისტიკური მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში წითელას 11 257 შემთხვევა აღრიცხული, აქედან თბილისში 5 228. სამწუხაროდ, ლეტალურად 4 შემთხვევა დასრულდა.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) მონაცემებით, 2013 წელს გარდაიცვალა 5 წლამდე ასაკის 6,4 მილიონი ბავშვი. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევათა ნახევარზე მეტის თავიდან აცილება შეიძლებოდა პრევენციული მეთოდებით, ვაქცინაციის საშუალებით. იგივე ჯანმრთელობის მსოფლიოში ყოველწლიურად 2-დან 3 მილიონამდე ბავშვის სიკვდილის პრევენცია ხდება. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამავე დროს 22 მილიონი ბავშვი გემიური აცრების გარეშე რჩება, რაც საფრთხეს უქმნის გარემომცველსაც.

მსოფლიოში იმუნოზაციის მნიშვნელობისა და ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით საქართველომ ევროპის იმუნოზაციის კვირეული გამოაცხადა, როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის წევრი ქვეყანა, იმუნოზაციის კვირეულში 2007 წლიდან მონაწილეობს.



სამწუხაროდ, საქართველოში აცრების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ აცრები არაეფექტური და საზიანოც არის. როგორც საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მარინა დარახველიძემ გვითხრა, ქვეყანაში წითელას შემთხვევების მატება 2008 წელს უკავშირდება. მაშინ მოსახლეობაში გავრცელდა ჭორი – ვაქცინები უვარგისიაო და ხალხმა აცრებს თავი აარიდა. მისივე განცხადებით, დღეს საქართველოში უმაღლესი ხარისხის ვაქცინები შემოდის, რომელსაც კონტროლს ჯანმო უწევს, აქედან გამომდინარე, აცრები უსაფრთხოა.

ვაქცინისა და, საერთოდ, სამკურნალო პრეპარატების ეფექტურობასა და უსაფრთხოებაზე დიდ გავლენას ახდენს აცრების პროცესის წესების დაცვა, შენახვისა და ტრანსპორტირების პირობების

უზრუნველყოფა. ამასთან, პაციენტმა განუხრებლად უნდა დაიცვას ექიმის მითითება, დროულად ჩაიტაროს აცრები. ისიც აღსანიშნავია, რომ, როგორც სამკურნალო საშუალებებს, ასევე ვაქცინებსაც ახასიათებთ უკუჩვენებები, თუმცა ეს გარემოება აცრების მნიშვნელობას არ აკნინებს. პირიქით, იმუნოზაცია ერთ-ერთ ხელმისაწვდომ და ეფექტურ სამედიცინო მომსახურებას წარმოადგენს. მისი ძირითადი მიზანია ინფექციური დაავადებისგან მოსახლეობის დაცვა. ბოლო 20 წლის განმავლობაში მილიონობით ბავშვთა სიკვდილის თავიდან აცილების შემთხვევა მოხდა, 750 000 ბავშვმა გადარჩენილი სიბრძნის, გონებრივი ჩამორჩენისა და სხვა მძიმე დარღვევებისგან.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი მოსახლეობას მიმართავს გულისყურით მოეკიდოს ვაქცინაციას და შეახსენებს, რომ დაავადების თავიდან აცილება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე მკურნალობა.

ბია ბურღული
551 71 27 07

ინტერვიუ ადვოკატ არჩილ ჩუბინიძესთან:

— არჩილ, რა კავშირი აქვს „თიბისი“ ბანკის ხელმძღვანელს მამუკა ხაზარაძეს შალვა აბულაძის საქმესთან?

— როგორც კი შალვა აბულაძემ განაცხადა, ჩემი პირველი მტერი მამუკა ხაზარაძეა, მითხრეს, რომ რამდენიმე წუთში „თიბისი“ ბანკის ყველა თანამშრომელს მიუვიდა სატელეფონო შეტყობინება: მამუკა ხაზარაძეს აღარ აქვს აქციები ბორჯომის წყლის კომპანიებში.

გასაგებია, რომ ამ საქმიდან თავის დაძვრენა უნდა, მაგრამ პოლიციის შენობასთან დაკავშირებულ მოვლენებზე რას იტყვის, ესაა საინტერესო. ეს არის თემა, რომელსაც თავს ვერ დააღწევს. პოლიციის შენობის გარემონტებას ვგულისხმობ.

— მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, გთხოვთ მოგიყვებოდეთ ამ ფაქტის შესახებ.

— ბორჯომის რაიკავშირის უნივერსალის შენობა გაქირავებული იყო „თიბისი“ ბანკის ფილიალზე, თუმცა შენობა რაიკავშირის მეპაიეებს ეკუთვნოდა. მათ არ გაყიდეს ქონება, მაგრამ მეპაიეები რიგრიგობით დაიჭირეს სხვადასხვა ბრალდებით. ზოგს წამალი ჩაუდეს, ზოგს იარაღი და დააკავეს, მეპაიეების ნაწილმა ქონება სახელმწიფოს გადასცა საჩუქრად, სახელმწიფომ კი მისცა ხაზარაძეს.

— აჩუქა?

— ნასყიდობის ხელშეკრულებაში წერია, რომ ხაზარაძემ 290 000 ლარი უნდა გადაიხადოს შენობის რემონტში და 60 000-ად უნდა შეიძინოს კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი.

ანუ არსებობს ვარაუდი, რომ ხაზარაძემ განაცხადა, რომ ეს შენობა უნდა მას. მეპაიეები ჩამოიშორეს, სახელმწიფოსთვის გადააქციეს ქონება, ხაზარაძემ იყიდა და დაასაჩუქრა სახელმწიფო სტრუქტურა — პოლიცია გარემონტებული შენობით და ავეჯით. საქმე ის გახლავთ, რომ ახლაც იგივე პოლიცია მუშაობს იმ შენობაში იგივე შემადგენლობით. ერთადერთი, რაც შეიცვალა, ეს არის პოლიციის უფროსი მამუკა ხაზარაძე.

ის ცნობილი აქციები რომ მოეწყო ბორჯომში, აქციაზე მხოლოდ ბორჯომის წყალზე არ ყოფილა საუბარი. აქციას ესწრებოდა 150-200 ადამიანი. მოგეხსენებათ, რაიონისთვის არცთუ მცირე რაოდენობაა. აქციაზე დაისვა არა მხოლოდ ბორჯომის წყლის, არამედ ბორჯომში არსებული თითქმის ყველა პრობლემის გადაჭრის საკითხები.

— ამ აქციის ფოტოსურათი ინტერნეტქსელში გავრცელდა. ფოტოზე ჩანს შალვა აბულაძეც. რა სტატუსით ესწრებოდა ის ამ აქციას?

— აბულაძე აქციას ესწრებოდა, როგორც რიგითი ბორჯომელი. იგი ყოველთვის იყო საზოგადოებრივად აქტიური ადამიანი. სხვათა შორის, შალვა აბულაძე პირველად მამუკა ხაზარაძის მეგობარმა, ბორჯომის პოლიციის უფროსმა ხვედელიანმა დაიჭირა.

მამუკა ხაზარაძის კონფლიქტი მოუვიდა ადამიანთან, რომელმაც ესროლა შალვა აბულაძის დეიდაშვილს. იგი შალვასთან ერთად იყო ინციდენტის დროს. მამუკა ხაზარაძის დეიდაშვილი და თვითონ შალვაც დაჭრეს. შალვამაც ესროლა და ისიც დაიჭრა. მამუკა ხაზარაძეს 20 წელი მკვლელობის მცდელობისთვის.

2014 ბორჯომში პოლიციელის მკვლელობის ინციდენტამდე,



არჩილ ჩუბინიძე:

აბულაძეს ბორჯომში პატარა ბიზნესიც ჰქონდა.

— აბულაძეს ასევე ჰქონდა ბიზნესი ბორჯომში. დაკავების შემდეგ ეს საქმიანობა ოჯახის წევრებს გადააბარა. ასე ირჩინდა თავს ციხეში და ოჯახის წევრებიც ახერხებდნენ თავის გატანას.

ციხეში ყოფნის პერიოდშივე აბულაძემ ოფიციალურად დააფუძნა პატიმართა დახმარების ფონდი. ამ ფონდში ადამიანები ნებაყოფლობით შემოწირულობებს ახორციელებდნენ. ამ შემოწირულობებით ეხმარებოდა იგი გაჭირვებულ პატიმრებს და მათ ოჯახებს. მან პატიმრობის პერიოდში დაიწყო

არის „თიბისი“ და თვით მამუკა ხაზარაძე, ეს, ალბათ, შეუძლებელი იყო. მით უფრო, თუ ხაზარაძე დანაშაულებრივ გარიგებაშია ბორჯომის პოლიციასთან, ასეთ შემთხვევაში ამ ბანკთან ურთიერთობის გაბმა ნებისმიერი მესაკუთრისთვის სახიფათოა, სიცოცხლის, ქონების ან თავისუფლების დაკარგვის კუთხით.

ამ მოსაზრების გახმაურება ხაზარაძის ავტორიტეტს მნიშვნელოვნად არყვედა ბორჯომში.

აბულაძე ამბობს, რომ იმ დღიდან დაიწყო მასზე ზეწოლები.

ამ ზეწოლების შესახებ იცოდა ბორჯომის პოლიციამაც. აბულაძეს არაერთი განცხადება აქვს შეტანილი ბორჯომის პროკურატურაში, აძლედა ინტერვიუებს მედიაგამოცემებს შექმნილ გაუსაძლის მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ამ პერიოდს ემთხვევა სწორედ მისი მოსყიდვის მცდელობები. სთავაზობდნენ — დიდი მითითებით გამოგიყვანო ბორჯომის

თან იდგა და უშუალოდ სიტყვებით იგინებოდაო, — ამბობს შალვა აბულაძე.

ამ ფაქტთან დაკავშირებითაც არაერთი საჩივარი აქვს შეტანილი აბულაძეს ბორჯომის პოლიციაში, შსს-ში, მთავრობის კანცელარიაში, სხვადასხვა უწყებაში. შსს-ს გენერალურ ინსპექციაში და ა.შ. თუმცა ამ განცხადებებზე, როგორც ვითხარით, რეაგირება არ ყოფილა.

— ყველა ინციდენტზე ხელს ხაზარაძისკენ რატიმ იშვებს?

— ბორჯომში როდესაც დამით აბულაძის სახლთან კრიმინალური წრის წარმომადგენელი გინებით იკვებდა იქაურობას და როგორც აბულაძე ამბობს, გაიძახოდა: კაი ბიჭების საქმე არ არის აქციების მოწყობა! რა გინდა ხაზარაძისგან, თავი დაანებეო და ა.შ.

აქ კავშირებს ვერ ხედავთ?

ამის შემდეგ წაივინდა სახლიდან აბულაძე და გაერიდა სიტუაციას.

რამდენადაც ვიცი, მას ქვეყ-

შალვა აბულაძის არაპირი მოუკლავს. საი თვის განმავლობაში ის მამუკა ხაზარაძის და მის დაქაულებს ემალებოდა

შალვა აბულაძემ ორგანიზება გაუკეთა ბორჯომში იმ საპროტესტო აქციას, ზემოთ რომ ვითხარით. აქციაზე გაუღერდა პროტესტი, რომ ბორჯომის მოსახლეობას არ აძლევდნენ მინერალური წყლით სარგებლობის საშუალებას. აქციაზე ითქვა, რომ დაჩაგრულები არიან კერძო მეწარმეები, გააპროტესტეს პოლიციის შენობის რემონტის სანაცვლოდ ხაზარაძისთვის უნივერსალის შენობის გადაცემა და ა.შ.

ამ აქციის შემდეგ დაინახა მამუკა ხაზარაძემ საფრთხე შალვა აბულაძეში.

— არჩილ, თქვენ ამბობთ, რომ აბულაძეს ბორჯომის ინციდენტის დროს პოლიციელი არ მოუკლავს?

— შალვა აბულაძეს ბორჯომში პოლიციელი არ მოუკლავს. მაგრამ ზუსტად რა მოხდა იქ, ეს სამართალდამცავი სტრუქტურების კვლევის საგანია.

— სად იმყოფებოდა იმ ინციდენტის დროს შალვა აბულაძე, იცით ეს თქვენ?

— მე ის ვიცი, რომ აბულაძე სამი თვის განმავლობაში დევნილობაში იყო. ის იმალებოდა.

— ვის ემალებოდა?

— როგორც თვითონ აცხადებს მამუკა ხაზარაძეს და მის დამქმნებს.

ხაზარაძემ ვერ მოქრთამა მოუწოდებდა აბულაძეს, შემდეგ ხალხი მიუგზავნა მუქარით სავსე ულტიმატუმებით.

— ფულს სთავაზობდა?

— დიახ, სთავაზობდა ფულს, ბორჯომის წყლის კაპიტალიზაციას და სხვადასხვა „სიკეთეებს“.

— რამდენადაც ვიცი, შალვა

ბორჯომის რაიონის ნიჭიერი მოსწავლეებისთვის სკოლებში ე.წ. სტიპენდიების გაცემა. 50 ლარს უხდოდა ყოველ თვე ნიჭიერ და სწავლას მოწოდებულ ბავშვებს.

ციხიდან გამოსულმა სკოლის მოსწავლეების მონაწილეობით გამართა აქციები — ბორჯომის ცენტრში დარგეს ნერგები, დასუფთავეს ქალაქი, შეძლებისდაგვარად კეთილმოაწვეეს ქალაქის ცენტრი და ა.შ. მისი ინიციატივით ბორჯომში იკვებოდა პლაკატები წარწერით: ბორჯომის წყალი გველეშაპის ხელშია! პლაკატზე გამოსახული იყო წყაროსთან გველეშაპი და ა.შ.

მოსახლეობა პროტესტს გამოხატავდა სააკაშვილის პერიოდში წართმეული ქონების დაბრუნების მოთხოვნით.

ერთ-ერთი ასეთი ქონება იყო ბორჯომის რაიკავშირის შენობა, სადაც „თიბისი“ ბანკის ფილიალი იყო განთავსებული.

მოკლედ, აქციაზე, რომლის კადრებიც გავრცელდა, მიიტანეს კუბო ყვავილების თაიგულებით. შალვა აბულაძე აქციის მსვლელობისას მედიასთან აცხადებს: ამ ჩასასვენებელში მოვათავსებ ბორჯომის პრობლემები და ეს პრობლემები დაგვასაფლავებო.

ისეთი ბანკისთვის, როგორც



წყალს, ოღონდ ხაზარაძის გეარს ნუ ახსენებო.

— ხაზარაძე სთავაზობდა?

— როგორც თვითონ აცხადებს, შუამავლები ხაზარაძის ხალხი იყვნენ.

მამუკა ხაზარაძე ამბობს, რომ მას დიდი არმია ჰყავს, 6 000 კაცი და რომელი მათგანი იყო, ეს დემტომა იცის.

ამ წინადადებას რომ არ დასთანხმდა, მიუგზავნეს კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანი. — დამით ჩემი სახლის კარ-

ნიდან წასვლა უნდა და თუმცა საბუთები წესრიგში ჰქონდა, არ გაუშვეს.

შალვა აბულაძე 2014 წლის დეკემბრიდან დევნილობაში იმყოფებოდა, რომ გარდებოდა სიტუაციას და მოსალოდნელ კონფლიქტებს კრიმინალური წრის წარმომადგენლებთან, რომლებიც, როგორც არაერთხელ უთქვამს აბულაძეს, იყვნენ ხაზარაძის მიგზავნილები.

საქართველოს სამკურნალო ახალი თაობის მედიკამენტებს პაციენტები უფასოდ მიიღებენ



საქართველოში C ჰეპატიტის სამკურნალო პრეპარატი - „სოფოსბუვირი“ ყველა პაციენტს უფასოდ გადაეცემა, - ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მედიკამენტების მწარმოებელ კომპანია „გილედთან“ ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაზე

განაცხადა. სამკურნალო პრეპარატის პირველი პარტია ქვეყანაში უახლოეს მომავალში შემოვა. წამალი გამოირჩევა მაღალი ეფექტანობით, გვერდითი მოვლენების სიმცირით, იძლევა თითქმის სრული განკურნების შესაძლებლობას და პირველ ეტაპზე განსაკუთრებით მძიმე პაციენტებისთვის იქნება განკურნების

ციენტებისთვის იქნება განკურნების

საქართველოში საზოგადოებრივი ჯანდაცვის უპრეცედენტო პროექტი იწყება, რომლის ანალოგიც მსოფლიოში არ არსებობს - საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იქნება, რომელიც C ჰეპატიტს სრულად აღმოფხვრის.

მთავრობის მეთაურმა აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრის და „გილედის“ წარმომადგენლებს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ C ჰეპატიტის ვირუსთან ბრძოლის პროექტს საფუძველი ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს ჩაეყარა - პირველ ეტაპზე პაციენტებს ინტერფერონი შეღავათიან ფასად მიეწოდებოდათ, ხოლო სასჯელალსრულებების დაწესებულებებში მყოფი პაციენტ-

ბისთვის მკურნალობა უფასო იყო.

„მთავრობის სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველო გახდება ქვეყანა, რომელშიც მოხდება C ჰეპატიტის ვირუსით გამოწვეული ავადობა-სიკვდილიანობის შემცირება და ახალი შემთხვევების აღმოცენების პრევენცია“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ პროგრამის ამოქმედება მთავრობის მნიშვნელოვანი წარმატებაა, რაშიც ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგენკოს დიდი წვლილი მიუძღვის.

ირაკლი ღარიბაშვილმა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შედეგებზე შეაფასა. პრემიერის განცხადებით, წლების განმავლობაში ადამიანები მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავდნენ სამედიცინო დაწესებულებას, რაც ხშირად მძიმე შედეგებით მთავრდებოდა, დღეს კი ეს რეალობა შეიცვალა და მთავრობის მიერ გატარებულმა რეფორმამ უამრავ ადამიანს მოუხსნა ფინანსური ტვირთი.

9 გვ.

— ანუ მამუკა ხაზარაძეს კრიმინალებთან აქვს ურთიერთობა?

— ალბათ აქვს კავშირები პოლიციასთანაც და კრიმინალებთანაც.

პოლიცია და კრიმინალები ამ შემთხვევაში ერთად არიან. თუკი იარაღს უდებენ მოქალაქეებს, კრიმინალებსგან ასეთი პოლიციელები რით განსხვავდებიან?

შალვას ჰქონდა იარაღი, მაგრამ საქმეში ჩანს ორი იარაღი. მაგრამ თანმიმდევრობით მოგვევლინო.

მოკლედ, აბულაძე არის დევნილობაში და იგებს, რომ ბორჯომის ცენტრში ორი პოლიციელი დაუჭრიათ. რის გამოც დაიწყო აბულაძის ძებნა დასაჭერად.

ამის შემდეგ მოხდა მეორე უბედურება — პოლიციელის მკვლელობა თბილისში.

ორივე მკვლელობა მომხდარია „გლოკის“ სისტემის იარაღით.

— ეს იარაღი შალვა აბულაძეს ჰქონდა?

— შალვა აბულაძე აიყვანეს მიტოვებული სახლიდან ბორჯომის გარეუბანში. ის დააკავა ბორჯომის პოლიციამ და არა სპეცნაზმა, როგორც აცხადებენ.

უკვე გითხარით, შალვა აბულაძეს ჰქონდა იარაღი. ეს იარაღი „მაკაროვს“ ჰგავს, ოღონდ

შალვა აბულაძეს არავინ მოუკლავს. სამი თვის განმავლობაში ის მამუკა ხაზარაძეს და მის დაქვას ეძებოდა

სხვა სისტემისაა. მას ჰქონდა ხელფეხბარაც.

როგორც კი მან პოლიციელები დაინახა, პისტოლეტი და ხელფეხბარა გადმოყარა ფანჯრიდან, შემდეგ ავიდნენ და დააკავეს შალვა აბულაძე. მერე ატყობინებენ თბილისს. თბილისიდან მოდიან ვერტმფრენებით, შეიარაღებით, დავიჭიროთ ორი პოლიციელის მკვლელობა. ეს ყველაფერი არის ფარსი და მტკნარი ტყუილი. მაგრამ მე დღეს მაინტერესებს — საიდან გაჩნდა შალვა აბულაძის იარაღებთან „გლოკის“ სისტემის პისტოლეტი?! ვეჭვობ, რომ ეს შეიძლება იყოს რომელიმე პოლიციელის იარაღი, რომელიც სპეციალურად ჩადეს საქმეში.

— არჩილ, თბილისის ინციდენტში ქალის პარკიან მამაკაცზე იყო საუბარი...

— ეს არის თითქმის გამოწვევილი ტყუილი, ამის მტკიცებულებანი არ არსებობს. ყოველივე ეს ჭეშმარიტებიდან ძალიან შორს დგას.

— ანუ შესაძლებელია თბილისში მომხდარი ფაქტი სულ სხვა ვინმეს ჩადენილი იყოს და

ბორჯომში მომხდარი სხვისი?

— როგორც გამოძიება აცხადებს, ორივე მკვლელობა ერთი და იგივე იარაღით არის ჩადენილი. „გლოკის“ სისტემის იარაღი მაქვს მხედველობაში, რომელიც, საბოლოო ჯამში, თითქოსდა შალვა აბულაძის მფლობელობაში ყოფილიყო.

ჩემი ვარაუდით, „გლოკის“ სისტემის პისტოლეტი რომელიმე პოლიციელის შეიძლება და ყოფილიყო, რადგან აბულაძე აღიარებს, რომ მას ჰქონდა „მაკაროვის“ ტიპის იარაღი და ხელფეხბარა, ხოლო „გლოკის“ მფლობელობას არ ადასტურებს.

— თქვენ გინდათ თქვით, რომ პოლიციელთა შორის ქილერია?

— ყურადღება მიაქციეთ: პროკურატურამ ბრალი წაუყენა სოსანაშვილს, რომელიც იყო პოლიციის თანამშრომელი, რაც



ბული სწორედ მამუკა ხაზარაძის ფაქტორის გამო. არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ როგორც წინა, ისე დღევანდელი ხელისუფლების პირობებში არ ხდება ხაზარაძის წინააღმდეგ არსებული საქმეების ჩამოღება და განხილვა.

— ეს სერიოზული ბრალდებაა.

— დიახ, ხაზარაძე მხილებულია ადამიანების სულიერ და ფიზიკურ განადგურებაში.

მეტოც, ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში არსებობს საქმე, რომელიც 90-იან წლებში ხაზარაძის მიერ მოსახლეობისთვის ანაბრების მიტაცების ფაქტს ადასტურებს. ამ თანხებით დააფუძნა ხაზარაძემ

„თიბისი“ ბანკი და არა საკუთარი დანაზოგებით.

მისი ბრალეულობა ნათლად იკვეთება ცეკავშირის შენობის მითვისება-გაფლანგვის საქმეში.

— რაც შეეხება შალვა აბულაძეს...

— რაც შეეხება შალვა აბულაძეს, ჩვენ შევეცდებით, დავამტკიცოთ მისი უდანაშაულობა.

როგორც ცნობილია, საქართველოდან ძალიან ცოტა საქმეები იგზავნება სტრასბურგში, ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციაში, მაგრამ შალვა აბულაძის საქმე, გარწმუნებთ, ერთ-ერთი იქნება, რომელიც სტრასბურგში გაიგზავნება.

„— დიახ, ხაზარაძე მხილებულია ადამიანების სულიერ და ფიზიკურ განადგურებაში.

მეტოც, ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებაში არსებობს საქმე, რომელიც 90-იან წლებში ხაზარაძის მიერ მოსახლეობისთვის ანაბრების მიტაცების ფაქტს ადასტურებს. ამ თანხებით დააფუძნა ხაზარაძემ „თიბისი“ ბანკი და არა საკუთარი დანაზოგებით.

მისი ბრალეულობა ნათლად იკვეთება ცეკავშირის შენობის მითვისება-გაფლანგვის საქმეში.“

პატივით

„საერთო გაზეთის“ დაბადება

№14, აპრილი, 2015 წ.



გიორგი თოფაძე - 75

გიორგი თოფაძე – ბიზნესმენი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, მეცენატი.

ფიქრობ, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს ბოლომდე გააზრებული ის დიდი ღვაწლი, რაც ამ კაცს მიუძღვის საქართველოს წინაშე.

სამოქალაქო ომის შემდეგ სულიერად და ფიზიკურად გაპარტახებულ და გავერანებულ ქვეყანაში მან პირველმა ჩაუნერგა იმედის სხივი ქართველ ხალხს და საქმით დაამტკიცა, რომ ბრძოლას და თავგანწირვას ყოველთვის აქვს აზრი.

გიორგი თოფაძე იყო პირველი, ვინც ღიად დაუპირისპირდა ქვეყნის საძარცვავად შემოპარულ უცხოელ ყაჩაღებს და მათ ადგილობრივ თანამშრომლებს.

ბატონმა გიორგიმ შესანიშნავად იცოდა, რა სასტიკი და დაუნდობელი ძალას უცხადებდა ომს და რა საფრთხეში აგდებდა საკუთარ თავს, ოჯახს, ბიზნესს, მაგრამ მას უკან არ დაუხევია.

ასეთია ბატონი გიორგი – უშიშარი, შეუპოვარი, თავგანწირვისთვის და თავდადებისთვის მზადყოფი, როცა საკითხი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს, მის აწმყოსა და მომავალს ეხება.

მას არ ეშინია ჩამოყალიბებული იდეოლოგიური სტერეოტიპების და კლიშეების მსხვერპლად და ყოველთვის მოურიდებლად ამბობს იმას, რაც, მისი აზრით, უფრო სასარგებლო და პერსპექტიულია ქვეყნისთვის.

ბიზნესმენ თოფაძისთვის ბიზნესი არასდროს ყოფილა მხოლოდ ფულის კეთების საშუალება. ის, პირველ ყოვლისა, საქმის მკეთებელი კაცია და მის მიერ ხორცშესხმული საქმეები, როგორც წესი, თანხმობაში მოდის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან.

„საერთო გაზეთისა“ და მისი მკითხველების სახელით დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და წარმატებებს ვუსურვებთ ბატონ გიორგის, ჭეშმარიტ პატრიოტს და თავისი ქვეყნის ერთგულ მეციხოვნეს.

მანუჩარ ხარაიძე

„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი

გლიხინგბერკვიუ ბაზონ გიორგი თოფაძესთან

– რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო, ბატონო გიორგი?

– სიჯიუტე, ცოდნა, მიზანმიმართულობა, პრინციპულობა და გამოცდილება, ცხადია, თანაც, დიდი გამოცდილება მქონდა. ჰოდა, ასე ნელ-ნელა წავიდით წინ. 1996 წელს შევექმნით მრეწველთა კავშირი (ეს არ იყო პოლიტიკური პარტია), სადაც წარმატებული ადამიანები მოვიყვანეთ, ინტელიგენცია, ქარხნის დირექტორები, თითქმის ყველა ჩვენთან იყო. მაშინ ძალიან ბევრს ვლაპარაკობდით იმ სისტემაზე, რომელსაც გვინერგავდა, ასე ვთქვათ, ზოგიერთი უცხოელი მრეწველი. არ მოგვწონდა ეს და არ გვინდოდა. ვამბობდით: ნუ მოვკლავთ ჩვენს მრეწველობას-მეთქი, ჰოდა, როცა ენახეთ, რომ ვერ გაგვიქონდა ჩვენი, პოლიტიკაში მოსვლა გადაწყვიტეთ. ინგრეოლა ქვეყანა, პირდაპირ გვეუბნებოდნენ მრეწველები, თქვენ, ისე ჩამორჩით თანამედროვე ტექნოლოგიებს, რომ ვეღარ დაეწევიან. მოდი, ჩვენ შემოვიტანოთ ყველაფერი და არაფერი მოგაკლდებათ და ხელის შეშლა, როგორც მრეწველთა

კავშირმა, ვერ მოვახერხეთ, ამიტომ გადავწყვიტეთ პოლიტიკური პარტია ჩამოგვეყალიბებინა. და 1999 წლის აპრილში ჩამოვაყალიბეთ კიდევ და უკვე ოქტომბერში იმდენად სჯეროდა ხალხს ჩვენი იდეების, რომ ორი სახელისუფლებო პარტია იყო, ე.ი. მოქალაქეთა კავშირი, ასლან აბაშიძის პარტია „აღორძინება“ და ჩვენ. თავიდან 37 კაცი ვიყავით, შემდეგ საკმაოდ გაიზარდა ჩვენი რიგები, ფრაქციაში ბევრი მაჟორიტარი შემოვიდა. და ამ პოლიტიკური ტრიბუნით ბევრ რამეში შევეშალეთ მათ ხელი, ბევრი რამ შევაცვლევინეთ, თავდაუზოგავად ვმუშაობდით, რთული იყო, მაგრამ მაინც მოვახერხეთ ეს. მაგალითად, საგადასახადო სისტემაში შევცვალეთ რაღაც-რაღაცები. ჩვენი არგუმენტები იმდენად ძლიერი და მყარი იყო, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ. ზურაბ ტყემალაძე იყო ჩემს გვერდით, ძირითადად, ჩვენი დუეტის მუშაობდა. მერე აღარ მოვყვები, რაც მოხდა, ყველას გვახსოვს. 2004 წელი, ბიზნესის ახევა, წართმევა, დაწიოკება, დაყაჩაღება, ყველანაირად ხელის შეშლა...

– ცნობილია, არაერთი ობიექტი ჩამოგართვეს.

– დიახ, დამახსოვრებელია, არ აწყობდათ, რომ ემუშავა, მაგალითად, თამბაქოს ქარხანა. ფაქტობრივად, ვთმობდი ობიექტებს, ოღონდ დაენებებინათ თავი, დაახლოებით, 20-ზე მეტი ობიექტი დავთმე. 2012 წლის შემდეგ კი ამოიხსნა ქვეყანამ და ცხადია, ჩვენც. სხვა რა ვითხრათ, აბა, სამი მოწვევის პარლამენტარი ვარ, 2004 წელს ჩვენ მოვედით პარლამენტში, მაგრამ დავინახე, რომ იქ არავითარი საქმე არ მქონდა (მარტო ჩვენ ვიყავით და „ნაცმოძრაობა“ და მეორე დღესვე დავტოვე პარლამენტი. ტყუილად უნდა ვმჯღადრიყავი იქ, გამორიცხულია, ვერაფერს გავიტანდი.

– რას ნანობს გიორგი თოფაძე?

– ვნანობ იმას, რომ ის წლები დავკარგეთ, წლები, როცა შეიძლებოდა ქვეყნის აღორძინება, როცა მთელი ევროპა წინ მიდიოდა, ჩვენ კი, უკან-უკან. რაც არასწორი ეკონომიკური პოლიტიკისა და არასწორი მმართველობის ბრალი იყო, ამის გამო დაიკარგა

ეს წლები და ახლა აღსადგენია ეს. ჩვენი ოპონენტები, რომ ყვირიან, არაფერი კეთდება, 2 წელში ეკონომიკა არ აღდგება, ამას წლები უნდა. არის რაღაც საკითხები, რაშიც ვერ ვთანხმდებით კოალიციაში, მაგრამ ჩვენთან დემოკრატიაა და ყველას ჩვენი აზრი გვაქვს. ახლა საქართველო იღვიძებს, დამიჯერეთ, ყველაფერი კარგად იქნება.

– რა გეგმები გაქვთ, რა სახლებს სთავაზობთ საზოგადოებას?

– გვაქვს რაღაც იდეები, ლარის კურსის ვარდნამ შეგვაფერხა, თუმცა ყველაფერი წინაა. გამოჩნდება, ძალიან მალე დაგანახებთ ამას. რა თქმა უნდა, გაფართოებას ვგეგმავთ, სოფლის მეურნეობის გადამუშავება, პროდუქციის წარმოება, საშინელი პროდუქტი შემოდის...ახლა გვაქვს იმის საშუალება, რომ ძალიან ბევრი რამ ჩვენთან ვაწარმოოთ. ერთი სიტყვით, ბევრ სურპრიზს ვპირდებით მოსახლეობას, ჩვენ არ ვაგჩერდებით, შევეცდები, რომ კიდევ ძალიან ბევრი რამ გავაკეთო ჩემს გუნდთან ერთად.

– დასასრულს, გვითხარით, რა იყო „მეოცნებე“ გიორგი თოფაძის ოცნება და აუხდა თუ არა?

– რა ვითხრათ, აბა, არ ვიცი, ბავშვობა ცოტა მძიმე მქონდა, რეპრესირებული ოჯახის შვილი ვარ, ბებია გერმანელი მყავდა. აქტიური კაცი იყო მამაჩემი, დედაჩემიც. ჰოდა, არ მოსწონდათ ეს და გადასახლეს. ნუ, ეგ არაფერი, ცოტა გაჭირვებაში გავიზარდე, პრინციპში, წლები იყო ასეთი, ახლა, ოპტიმისტი ვარ. ბევრი კარგი რამ კეთდება საქართველოში, საქართველო ძალიან მალე დადგება ფეხზე. ბიძინა ივანიშვილმა კარგად თქვა, პირველი ორი წელი შეიძლება არ დაგეტყუოთ, მაგრამ მესამე და მეოთხე წელს ნახავთ, როგორ შეიცვლება საქართველო. უნდა დაუფეროთ, ყველაფერი მიდის გვემოურად და ვისაც ესმის წარმოება, ის ხედავს, რომ წინ მიდის ნაბიჯ-ნაბიჯ, შეიძლება რაღაც საკადრო შეცდომები იყო დაშვებული, თუმცა ეს ყველაფერი ხდება.

– გმადლობთ, წარმატებები, ბატონო გიორგი...



გიორგი გვახარია:

— გოგის ძალიან დიდი ხანია ვიცნობ. პოლიტიკაში რომ მოვედი, ერთადერთი ნაცნობი გოგი დამხვდა.

თამამად ვიტყვი: გოგი თოფაძე არის საოცარი ადამიანი. მან მოახერხა საქართველოში ბიზნესის კეთება, რომელიც არ არის იოლი. საზოგადოების არც ერთი შრე არ მინახავს, გოგის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოეხატოს. ძალიან რთულია, ზოგადად, საქართველოში პოლიტიკაში იყო

და საზოგადოებაში მაინც გქონდეს კარგი ავტორიტეტი. მეონი, ხვდებით, რაც მაქვს მხედველობაში. ის ღირსეული პიროვნებაა. საქართველოს და ჩვენ ყველას გვჭირდება ასეთი ადამიანები. ძალიან კეთილშობილი ადამიანია და საყვარელი კაცია. გოგი არის მეგობრობის სიმბოლო, კაცობის სიმბოლო.



დავით სახაქელიძე:

— ალბათ, მივეკუთვნები იმ ილბლიანი ადამიანების რიცხვს, ვისაც წლების განმავლობაში ჰქონდა და აქვს საშუალება ბატონ გოგისთან ჰქონდეს ურთიერთობა, ჩვენ, ურთიერთობდით ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბიზნესში ვიყავით, 90-იანი წლების დასაწყისში და შემდეგ 99 წლიდან უკვე პოლიტიკაში. ბატონი გოგი დღესაც არის ეტალონი კაცობის, ღირსების, სამეგობროს პატივისცემის და ა.შ. ის ვერცხლის წყალივით ადამიანია, რომელსაც ვერაფერში დადღი.

მის გულწრფელობასა და პირდაპირობაზე ხომ აღარაა საუბარი. პოლიტიკოსებს ხშირად გვჩვენებენ შემდეგი: ერთს ვამბობთ, მაგრამ მეორე უნდა ვთქვათ, იმიტომ, რომ მესამე ვგააკეთოთ და ა.შ. აი, ბატონი გოგი, კი არის ხალასი, ალალი კაცი, ამბობს იმას, რასაც აკეთებს და რასაც აკეთებს ყველაფერი კარგად გამოდის. ბიზნესში იყო და წარმატებული იყო. პოლიტიკაშია და წარმატებულია, ერთი სიტყვით, ხალხოსანი პოლიტიკოსი და ხალხოსანი ბიზნესმენია, ხალხს გოგი თოფაძე ძალიან უყვარს.



ზურაბ ტყეშელაშვილი:

— გოგი თოფაძე არის წარმატებული პიროვნება, მოყოლებული ბავშვობიდან, სკოლა, ინსტიტუტი, მეცნიერება, დისერტაცია ერთი, დისერტაცია მეორე, ბიზნესი და იყო და წარმატებული და წარმატებულია, პოლიტიკაში მოსვლა მოუწია და აქაც წარმატებამ არ დააყოვნა. მასსოვს, 99 წელს სპონტანურად უცებ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკური პარტია შეგვექმნა. ერთხელ გოგი რაღაცაზე გააბრაზეს და თქვა, რაც დაეწიყე, ყველაფერში გავიმარჯვებ და ახლაც გავიმარჯვებ და საქმეს ბოლომდე მივიყვანოთ და მივიყვანოთ კიდევ. დაგვეუქმურნ 7%-დე ავიყვანოთ ბარიერსო, (5% იყო), მაშინ გოგიმ უთხრა, 7%-დე, კი არა, თუ გინდათ 27% ასწიეთ, მაინც გავიმარჯვებოთ, ასეც მოხდა. ასე რომ, აი, ასეთი წარმატებულია ყოველთვის. მისი წარმატების საიდუმლო არის პირველ რიგში, ბუნებრივია, შრომისუნარიანობა, შემდეგ ამასთან ერთად მისი ჟინი, სურვილი, მიზანდასახული ბრძოლა ყველაფრისადმი და ყველაფერში პირველობა. სხვათა შორის, გოგი სპორტსმენია, მთამსვლელი, და აი, ამ ასაკში გოგის შეეჯიბროს ბევრი ახალგაზრდა.



ზაქარია ტყეშელაშვილი:

— ჩემი აზრით, ბატონმა გოგომ შექმნა ჩვენი სამშობლოს უახლოეს ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი მონაკვეთი. მან ისწოლა ის ლოზუნგი, რომელიც ლოზუნგი, დღესაც აქტუალურია - „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. დიახ, ჩემი აზრით, ეს არის ის მთავარი ლოზუნგი, რომელიც ორიენტირებულია ქართული წარმოების განვითარებაზე, აქედან გამომდინარე, მე მას ძალიან დიდ პატივს ვცემ და მიმანია, რომ ქართული წარმოების განვითარებაზე მისი ორიენტირება და მისი მზრუნველობა, მისი მთავარი ღირსება და მიღწევაა. ერთადერთი რამ, რაც დამატებით ღირებულებებს შექმნის და საქართველოს დამოკიდებულებას გარე სამყაროზე შეამცირებს, ეს არის ქართული წარმოების განვითარება და ამ იდეის ავტორი არის ბატონი გოგი თოფაძე, ჩვენ დღევანდელი იუბილარი. ვულოცავთ!



ამ ოცილე წლის წინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ თბილისში, სანაპიროზე, დანგრეული და გაპარტახებული ქარხნის ნაცვლად თანამედროვე, წარმატებული საწარმო აშენდებოდა და ეს ადგილიც ასეთი მიშინდელი და პოპულარული გახდებოდა თბილისელთათვის.

ვისაც გოგი თოფაძესთან უმუშავია, ყველა აღნიშნავს, რომ მას წარმოებისა და ორგანიზების უნიკალური ნიჭი და ალღო აქვს, ხშირად ერთი შეხედვით უპერსპექტივო წამოწყებაშიც შეუძლია აღმოაჩინოს ისეთი მარცვალი, რაც შემდეგ მართლაც გასაოცარ შედეგს იძლევა.

„ყვებუვის“ დამარსებელს გამჭრიახობასა და შორსმჭვრეტელობასთან ერთად, პროფესიონალიზმი, თავდაჯერებულობა, ენერჯიულობა, ცოტა იდეალისტობა, თუმცა უმთავრესი მაინც დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი სიჯიუტე აღმოაჩნდა.

ლუდის მოყვარულებს კარგად ახსოვთ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა ხარისხზე დიდად არავინ ზრუნავდა და მთავარი რაოდენობა იყო, სწორედ გოგი თოფაძის ინიციატივით „თბილელში“ ლუდი „თბილისური“ ჩამოასხეს. მაშინაც წარმოუდგენელი რამ მოხდა: ლუდი იმდენად კარგი გამოვიდა, რომ იმდენად სპეციალიზმში დახლსქვემდინ იყიდებოდა ჩეხური ლუდის მსგავსად.

თუმცა, თოფაძის მთავარი ისტორია მოგვიანებით დაიწყო: მტავარი საქმე კი, ცხადია, კომპანია „ყაზბეგა“. ქართული ბიზნესის ისტორიაში ძნელია მოძებნო ანალოგი, როდესაც კომპანიის სახელი და მისი დამარსებელი აბსოლუტურად გაიგივებულნი არიან. 1994 წელს, კრიმინალური ბანდების თარეშით გაწამებულ, პოლიტიკურად დაულავებულ, ეკონომიკურად განადგურებულ, კონტრბანდით წალევილ, მორღვეულ საზღვრებში მოქცეულ საქართველოში წარმოების შექმნა ის ნაბიჯი იყო, რომლის გადადგმასაც მხოლოდ ერთეულები თუ გაბედავდნენ.

არადა, სწორედ მაშინ გოგი თოფაძემ არნახულად რისკიანი პროექტის განხორციელება განიზრახა: ქართული ლუდის ბიზნესმა ფეხის ადგმა იმ დროს სცადა,

როცა ბაზარი გაურკვეველი წარმოშობის, ხარისხისა და შემადგენლობის შემოტანილ ლუდს ჰქონდა წალევილი და ამ სარფიან საქმეს ზურგს ფინანსურად თუ პოლიტიკურად შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ჯგუფები უმაგრებდნენ, მათ შორის, იმჟამინდელი ხელისუფლების ბევრი გავლენიანი მაღალჩინოსანიც. სხვათა შორის, ეს ის დრო გახლდათ, როცა არათუ ახალი დარგებისა და წარმოების განვითარებას უწყობდა ვინმე ხელს, მაგანი უცხოელი „მრჩეულები“ საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის მიზანშეწონილობასაც საკამათოდ მიიჩნევდნენ და ქვეყანაში ღვინის იმპორტის აუცილებლობას ამტკიცებდნენ ჯიუტი დაჟინებით.

სწორედ ასეთ ფონზე, დიდი პაუზის შემდეგ, ბაზარზე „ყაზბეგის“ სამარკო ნიშნით გამოჩენილი პირველი ქართული ლუდი ის ბასრი იარაღი აღმოჩნდა, რასაც წლობით აწყობილი და, ერთი შეხედვით, უძლეველი მანკიერი წრე უნდა გაერღვია. ასეც მოხდა: თავიდან წარმოების შედარებით მოკრძალებული მოცულობის მიუხედავად, „ყაზბეგმა“ მაინც იმდენად შეავიწროვა ლუდის იმპორტს ჩაჭიდებული არაერთი კომპანია თუ მათ ზურგს ამოფარებული ჩინოვნიკი, რომ ადგილობრივი წარმოების არნახული ტერორი განხორციელდა.

როცა ყაზბეგმა პირველი სერიოზული განაცხადი გააკეთა, ზოლო თოფაძესთან მოლაპარაკებებმა თუ მისი დაშინების მცდელობებმა შედეგი ვერ გამოიღო, 40 შეიარაღებული სპეცრაზმელი ქარხანაში შეეარდა, გოგი თოფაძე თავის შევითან ერთად და მოადგილესთან ერთად დააპატიმრეს და წარმოების გაჩერება პირდაპირ მოსთხოვეს. მაგრამ ხელისუფლების ამ ნაბიჯმა შედეგი ვერ გამოიღო, „ყაზბეგმა“ არსებობა გააგრძელა, ჯიუტ და მიზანდასახულ ბიზნესმენტთან, რომელსაც გადაეწყვიტა დაემტკიცებინა, რომ ქართველებს ნაკლებად არ შესწევთ საქმის კეთების უნარი, აბგვარი დაშინებები არ ჭრიდა.

საქართველოში ლუდის იმპორტი იმდენად მომგებიანი იყო, რომ პოზიციების იოლად დათმობას არავინ აპირებდა. დაჭერას შემდეგ მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან ასევე წარუმატებელი

მცდელობა, უკვე აწყობილ და პოპულარულ კომპანიაში, ასე ვთქვათ, „წილში ჩაჯდომოდნენ“ თოფაძეს. ცოტა მოგვიანებით, ინტერესთა ჯგუფების მიერ გაწეული ფართო ლობისტური კამპანიის შედეგად 1995 წლის ივნისში ხელისუფლებამ გადაწყვიტა ადგილობრივი მწარმოებლებისათვის აქციზის გადასახადი, არც მეტი, არც ნაკლები, 1000 პროცენტით გაეზარდა. ამ საგადასახადო გილიოტინამ თავისი მომაკვდინებელი შედეგი 2-3 წელიწადში გამოიღო. გადასახადის ამ აბსურდული განაკვეთის გამო სასმელის მწარმოებლებს იმხელა დავალიანებები დაუგროვდათ, რომ მათ უმეტესობა ან გაკოტრების რეჟიმში მოექცა, ან წლების მანძილზე წელში ვეღარ გასწორდა და ავად თუ კარგად მოპოვებული საბაზრო პოზიციებიც საბოლოოდ დაკარგა.

იმეათით გამოჩაკლისი მხოლოდ ყაზბეგი აღმოჩნდა და ამის მიზეზი გახლდათ კვლავაც უკიდურესად რისკიანი, თუმცა ბიზნესის ლოგიკიდან გამომდინარე აბსოლუტურად გამართლებული და, საბოლოო ჯამში, წარმოების გადასარჩენად მიღებული ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება - თოფაძემ აბსურდულობამდე გაზრდილი აქციზის გადახდაზე უარი განაცხადა. მან ხმაბალა თქვა, რომ ეს იყო სრულიად ალოგიკური, უსამართლო გადაწყვეტილება, რომელიც საერთოდ დალუპავდა დარგს. ზოგიერთი კომპანიისგან განსხვავებით, რომლებიც ამ უსამართლობას შეეგუენ, თოფაძემ „ყაზბეგი“ ძველი სააქციზო გადასახადის რეჟიმში აშუშავა და ეს არც დაუმალავს. ეს იყო საჯარო პროტესტი, რამაც მოგვიანებით რეალური შედეგი გამოიღო - ხელისუფლებამ აქციზის განაკვეთი შეცვალა.

თუმცა მაშინ, მუდმივმა პოლიტიკურმა ზეწოლამ თანდათან ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ გოგი თოფაძე იძულებული გახდა პოლიტიკურ ასპარეზზეც გამოსულიყო თანამოაზრეებთან ერთად. საქართველოს საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლებმა - ზურაბ ტყეშელაშვილი, თამაზ ბეჟანიშვილი, ალექო თავართქილაძემ, საურმაგ თურმანიძემ, ბიძინა ბოკერიამ, დათო დათოშვილმა, ვიტა





ლი კვინიხიძემ, გურამ ჯაიანმა, ბადრი შოშიტიანიშვილმა, თამაზ ყაჭვიშვილმა, კახა გიუაშვილმა და სხვებმა გადაწყვიტეს, შეექმნათ პოლიტიკური მოძრაობა „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ და ახალი ქართული ბიზნესის თავისუფლება პოლიტიკური ტრიბუნის გამოყენებითაც დაეცვათ.

პირველივე პოლიტიკური სვლა წარმატებული აღმოჩნდა: უმუშევრობით და უპერსპექტივობით, ომით და ნგრევით დაღლილმა საზოგადოებამ გაიზრა თოფადი და მისი თანამოაზრეების პოზიცია ქვეყნის უმძიმეს მდგომარეობიდან გამოყვანის გზებთან დაკავშირებით და ახლადშექმნილმა ამ პოლიტიკურმა გაერთიანებამ, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში სერიოზულ წარმატებას მიაღწია - ერთადერთი არასახელისუფლებო ოპოზიციური ძალა აღმოჩნდა ამ მოწვევის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

სხვათა შორის, ქვეყნის განვითარების უფრო მკაფიო, რეალისტური, კონკრეტული და საქმით დამტკიცებული პოლიტიკური ალგორითმი ქართული საზოგადოებისთვის დღემდე არც ერთ პოლიტიკოსს არ შეუთავაზებია, ამ იდეის აქტუალურობა დღეს კიდევ უფრო თვალსაჩინოა, რადგან ამ სტრატეგიით, მიზნის მიღწევის ყველაზე ცხადი და შედეგის მომტანი გზა იკვეთება.

ეს იდეა, რაც თავისთავად ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული მრეწველობისა და ეროვნული სოფლის მეურნეობის აღორძინებას გულისხმობს, ეფუძნება და მიზნად ისახავს ადამიანის უმთავრესი უფლებისა და თავისუფლების განხორციელებას - იცხოვროს და იმრომოს ღირსეულად. თუ რას ნიშნავს ღირსეული შრომა და ღირსეულად ცხოვრება, ეს „ყაზბეგის“ 18 წარმოებაში დასაქმებულმა ათასობით ადამიანმა და მათი ოჯახის წევრებმა კარგად იციან.

ღირსების დაცვის მაგალითი იყო თოფადის დაპირისპირებაც ფრანგ პარტნიორთან - პარტნიორობა არ შედგა, ვინაიდან კასტელის ჯგუფს ქართული ბიზნესის ისეთივე „მეწველ ძროხად“ გადაქცევის სურვილი აღმოაჩნდა, როგორც არაერთი კომპანიისა აფრიკასა თუ აზიაში. „ყაზბეგი“ კი ნამდვილად არ გამოდგა ასეთი თვინიერი და მორჩილი.

ესეც პირველი პრეცედენტი იყო, როდესაც უცხოურმა კომპანიამ ქართულს ქელი ვერ მოადრეკინა და ეს იმ ფონზე, როცა ფრანგ მილიარდერ კასტელის ჯგუფს ყველა ღონეზე გარანტირებული მხარდაჭერა ჰქონდა - პოლიტიკურიც, რესურსულიც თუ ინსტიტუციონალურიც. მაგრამ თოფადემ ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ ინვესტორი ყოველთვის მართალი არ არის, და არც მისი ბრმა მორჩილება სიკეთის მომტანი, ღირსების დასაცავად ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლა აუცილებელია.

ეს გამოცდილება დღესაც თავს იჩენს კომპანიის საქმიანობაში. მისმა პოტენციურმა პარტნიორებმა უკვე კარგად იციან, რომ საქმე სოლიდურ და არცთუ იოლად გასაცურებელ ბიზნეს-ორგანიზაციასთან აქვთ. შესაბამისად, ქარ-

თული ბიზნესის უცხოელ ინვესტორებთან თანამშრომლობის ახალი, ცივილიზებული სტანდარტი ჩამოყალიბდა, რაც პირველ რიგში, პარტნიორობა თანასწორუფლებიანობას ეფუძნება და ქვეყნის პრესტიჟის ამაღლებას უწყობს ხელს.

სადღეისოდ, „ყაზბეგი“ უკვე დიდი ხანია გასცდა მხოლოდ ლუდის წარმოებას, კომპანია მრეწველობისა და ტურიზმის სფეროში არაერთი წარმატებული ბიზნეს-პროექტის ოპერატორია.

ბუნებრივი პირობები და ეკოლოგიური წონასწორობა - ესეც კიდევ ერთი მიმართულება, რომელსაც „ყაზბეგის“ საქმიანობაში პრიორიტეტული ადგილი უკავია. „ყაზბეგის“ სავაჭრო ნიშნით წარმოებული ყველა პროდუქტი ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისგან მზადდება შესაბამის გარემოში და შესაბამის ტექნოლოგიების ზუსტი დაცვით.

რაც შეეხება სოციალურ, სასპონსორო თუ საქველმოქმედო პროექტებს, არსებობის მანძილზე კომპანია „ყაზბეგმა“ სახელმწიფო ბიუჯეტში ასობით მილიონი ლა-

ფესორ-მასწავლებლებიც არიან. განსაკუთრებით აღსანიშნავია კომპანიის აქტიური მოწოდებით ვლადიკავკაზში ისტორიული ქართული სკოლის აღდგენა, სადაც ერთად სწავლობდნენ ქართველი და ოსი ეროვნების ბავშვები. გთოფადის ინიციატივით „ყაზბეგმა“ იმ დროისთვის არაორდინარული გაბედული ნაბიჯი გადადგა და ცხინვალის დანგრეული ლუდის ქარხნის აღსადგენად სერიოზული ინვესტიცია განახორციელა და ქარხანა ააშენა, რესტორანი და სასტუმროც ააშენა ცხინვალის ცენტრში და იმ დროისთვის პირველად ქართულ ენაზე დაეწერა ობიექტებს სახელი. კიდევ არაერთი იმგვარი პროექტის განხორციელება იგეგმებოდა, რაც უთუოდ შეუწყობდა ხელს კონფლიქტის ჩიხიდან გამოსვლას და ურთიერთობების სამომავლო გაუმჯობესებას, თუმცა 2008 წლის ტრაგედიამ ამგვარი პერსპექტივა გარკვეული ვადით გადადო.

ასეთია დღეს უკვე 75 წლის გოგი თოფადე - ქართველი ბიზნესმენი, ქართული კაპიტალით, ქართული ნიჭით, ქართული სიჯი-



რი შეიტანა, ხოლო „ყაზბეგის“ წარმოების მიერ დაფუძნებულმა გოგი თოფადის ფონდმა, ათობით მილიონი ლარის ქველმოქმედება განახორციელა სპორტის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და სხვა სფეროებში არსებულ პრობლემათა მოგვარებაში თვისი წვლილის შესატანად. ეს თანაბრად გულისხმობს როგორც არაერთი ავადმყოფისა თუ სხვაგვარად შეჭირვებულისათვის ხელის გამართვას, ასევე ცალკეული გამორჩეული ადამიანების წახალისებას. საგულისხმოა, რომ გოგი თოფადის სტიპენდიით ათეულობით ქართველ სტუდენტს მიუღია განათლება როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

სტიპენდიანტები არაერთი უმაღლესი სასწავლებლების პრო-

უბით და ქართული პირდაპირობით.

2003 წელს გამოქვეყნებულმა გოგი თოფადის წიგნმა „საქართველო ნეოკოლონიალიზმის ყულფში“ ბევრი ქართველი ეკონომისტი, ბიზნესმენი, პოლიტიკოსი და აფიქრა. განა ყველა უცხოელი ექსპერტის რეკომენდაცია მისაღება ჩვენი ეკონომიკის ასაღორძინებლად.

თუკი ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის კეთების სურვილი გამოძრავებს, ეს საქმეც იცი და შეგიძლია ბოლომდე პრინციპულად დაიცვა საკუთარი პოზიცია, თუკი ბოლომდე გჯერა საკუთარი სიმართლის - მაშინ წარმატების მიღწევა წარმოუდგენელი წინააღმდეგობების მიუხედავადაც შესაძლებელია.

ლიბიბრი ხუნდაძე:

ბატონ გოგის მინდა მიეულოცო დღევანდელი დღე, მინდა ვუსურვო, პირველ რიგში, ჯანმრთელობა და წარმატება, ყველა მიმართულებით, თუმცა ის ისედაც წარმატებული ადამიანია. ბატონი გოგი არის უაღრესად საინტერესო პიროვნება, საინტერესო, როგორც მეგობარი, რადგან მან იცის არაჩვეულებრივი მეგობრობა და ურთიერთობა, ის არის საინტერესო და წარმატებული ბიზნესმენი, და ბიზნესიც ურთიერთობის გარეშე არ არსებობს, ალბათ, მისი წარმატების მთავარი მიგნება და გასაღები სწორედაც რომ ურთიერთობაა და საბოლოოდ, ბატონი გოგი, არის საინტერესო და გამოცდილი პოლიტიკოსი. დიახ, ვფიქრობ, ყველა მხრივ საინტერესო პიროვნებაა და ის იმსახურებს აი, იმ სიბოძს, იმ ურთიერთობას და იმ თანადგომას, რასაც დღეს, ჩვენ, ყველა ერთად ვხედავთ - მის გარშემო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნაწილია შეკრებილი და ულოცავენ და უსურვებენ წარმატებას.



სოსო ჯაჭვლიანი:

ბატონ გოგის, იმდენი სიკეთე აქვს ცხოვრებაში გაკეთებული და იმდენი სიხარული აქვს ადამიანებისთვის მინიჭებული, რომ ამის ჩამოთვლას გაზეთის ფურცლები არ ეყოფა, მაგრამ ყველაზე მთავარი, იცით, რა არის, აი, რაც მას გამოარჩევს ამ კოალიციაში, მისი პირდაპირობა და განსხვავებული აზრი. გახსოვთ, ნატოზე იყო ლაპარაკი, (ცოტა პოლიტიკურ ელფერსაც მიეცემ), და ატყდა ერთი ამბავი, რატომ თქვა, როგორ თქვა და ა.შ. რამდენიმე დღის მერე ერთ ადგილას ვიყავი მისული და ვთქვი, კაცო, ბატონ გოგის, თავისი აზრი აქვს-მეთქი. და ზუსტად ესაა დასაფასებელი, რომ მას გამორჩეული აზრი აქვს და ამბობს, დიად, ხომ იცით დინებას, რომ მიყვებიან, ასე არ არის რა, ჩვენ ხომ ცოცხალი ადამიანები ვართ, ჩვენ ხომ არ უნდა ვიყოთ მონები, არა? და ახლა ქვეყანას როგორ, რა და სად არგებს, ეს იმხელა საკითხია, რომ მაგზე ჩვენ ვმსჯელობთ და ვლაპარაკობთ უკვე 30 წელია, რაც ეროვნული ტალღა წამოვიდა და ვერ ჩამოვყალიბდით, ამიტომ ბატონმა გოგომ, რაც თქვა, ეს იყო ძალიან მაგარი რაღაც, აი, რომ გამოგარჩევს ისეთი... აი, ეს მინდოდა მეთქვა.



ჯუმაბარ პატიავილი:

გოგი თოფადე შესანიშნავი ვაჟკაცია, ყოფილი სპორტსმენი. მახსოვს, კლათბურთს თამაშობდა. უბანში გამორჩეული ბიჭი იყო. კეთილშობილი კაცია, ჩვენი გოგი და, პირველ რიგში, პატრიოტი ადამიანი. საქმის მკეთებელი, გაჭირვებულის დამხმარე. საინტერესოა, რომ მას განსაკუთრებულად უყვარს ბუნება, ნადირობა. ნადირობა ხომ ბუნებასთან განსხვავებულ ურთიერთობას აყალიბებს. მას თავისი სამონადირეო მეურნეობა აქვს. უკვლის, უფრთხილდება ჩვენი ქვეყნის ბუნებას, გარემოს...

რა ვთქვა იმაზე მეტი, რომ ჩვენი გოგი გამორჩეული კაცია პატრიოტ ადამიანებს შორის. ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი, მიეულოცო იუბილე. დღევანდელი იფავი, ჩემო გოგი.



როინ მებრძევილი:

ღირსეული ადამიანია ბატონი გოგი. იგი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი წევრი გახლავთ. გოგი თოფადეს 75 წელი შეუსრულდა. 75 წელი ერთი ადამიანისთვის, შეიძლება, ბევრია, მაგრამ ისტორიისთვის ერთი ამოსუნთქვაა. თუმცა გოგი თოფადეს შეუძლია იამაყოს გავლილი გზით. ის ყმაწვილობიდან შრომაში იყო ჩაბმული და დღემდე აგრძელებს სასარგებლო მოღვაწეობას. მან თავისი საქმიანობით ღირსეული კვალი დაამჩნია ეროვნულ მრეწველობას და ბიზნესს. ბატონი გოგი მეცნიერიც გახლავთ. ის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია და მეცნიერულ ცოდნას და პრაქტიკულ მოღვაწეობას ერთმანეთს კარგად უხამებს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიმბოლია. გოგის წარმატების საწინდარიც ეს არის.

მიუხედავად იმისა, რომ 75 წლისაა, დღემდე ინარჩუნებს სპორტულ ბუნებას და ხასიათს, ვარჯიშობს სისტემატურად, თხილამურებზე დადის, ნადირობს და ცდილობს ჯანმრთელი ცხოვრების წესით იცხოვროს. მას კიდევ დიდხანს შეუძლია ბევრი კარგი საქმის კეთება.

მე ისლა დამრჩენია, ვუსურვო წარმატებები, ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და იმ ამოცანების ღირსეულად შესრულება, რაც ქვეყნის და მის წინაშე დგას.





გიორგი არის: - გოგი არის უნიკალური პიროვნება, ყველა სფეროში, კაცობაში, მეგობრობაში, ბიზნესში, პოლიტიკაში, რაც თქვა და რასაც ამბობდა, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ყველაფერი შესრულდა, აბსოლუტურად ყველაფერი. მე მჯერა ამ კაცის და ძალიან მიყვარს და მარტო მე კი არა, ყველას, მთელ საქართველოს უყვარს. და ასეთი ხალხი ბევრი რომ გვყავდეს კარგი იქნებოდა, მაგრამ სად არის. გვიმრავლოს ღმერთმა, ვულოცავ დაბადების დღეს, მინდა ბუნდოვანი იყოს, მინდა სულ ვუყურო, მისი ნახვა ყოველთვის გამისარდება, მე ვამაყობ მისით.



ლევან კვარაცხელიძე: - პირველ რიგში, მინდა ბატონი გოგის უბრალოება აღვნიშნო და მეორე ის, თუ დღეს ვინმეს შეუძლია ილაპარაკოს, რომ ქვემოქმედება ვინმეს მომავალზე იყო ორიენტირებული, რასაც საორბიტი ჰქვია. ბატონი გოგი, იყო პირველი საქართველოს დამოუკიდებლობიდან, რაც მასსოვს, სულ გვერდში ედგა და მის თვალწინ გავიზარდეთ, ის თაობა, რომელმაც ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე რთულ დროს ბევრი რამ შეეძლო. ძალიან დიდი მაგალითია ბატონი გოგი ჩვენთვის. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ძალიან უბრალო ადამიანია, რომელიც ამ ხნის არის, მაგრამ ჩვენ არ გვიგონებია მისგან ასაკის სხვაობა, თუმცა ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემდით მის ასაკს. საერთოდ ადამიანებს სიცოცხლეში არ ვაფასებთ, მით უმეტეს, საქართველოში, მინდა რომ ადამიანები სიცოცხლეშივე დაფასდნენ და ბატონი გოგი არის ის ადამიანი, რომელიც უნდა დაფასდეს, მაგალითი მას იმისთვის, რაც გამოიარა და გაუკეთებია.



გიორგი შორშილიანი: - ბატონი გოგი, არის ძალიან ნიჭიერი კაცი და თავისი ცხოვრების განმავლობაში ძალიან მნიშვნელოვანი საქმეები აკეთა, გარდა იმისა, რომ კეთილშობილი კაცია, კარგი მეგობარია და ყველას უყვარს, მან ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი თემა წამოწია. თემა, რომელიც არის დაკავშირებული ქვეყნის განვითარებასთან, რა თქმა უნდა, მარტო არ არის ბატონი გოგი, მაგრამ მისი როლი ამ თემის წამოწევაში იყო ძალიან მნიშვნელოვანი - ეს არის ინდუსტრიის განვითარების თემა, რის გარეშეც თანამედროვე სახელმწიფო ვერ შეიქმნება. მე სრულიად ვიზარებ ამ მიდგომას და მგონია, რომ ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილიც იზარებს და რაც მთავარია, ისტორია და მსოფლიო გამოცდილება გვეუბნება, რომ განვითარებული ქვეყნები, ეს არის ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები. მინდა ბატონი გოგის, ვუსურვო კიდევ დიდ ხანს აქტიური მოღვაწეობა ამ ასპარეზზე და კიდევ უფრო გაძლიერება მისი მუშაობისა ამ მიმართულებით.



ზვიად კიკვიძე: - ბატონი გოგი თოფაძე ჩემი უფროსი მეგობარია. მიმაჩნია, რომ ამ კაცს ძალიან დიდი და სერიოზული ღვაწლი აქვს საქართველოს წინაშე, ქართული არაფერი იწარმოებოდა საქართველოში, მათ შორის, არც კვების მრეწველობაში და ბატონმა გოგმა, მაშინ თავისი ლუდის წარმოებით, თავისი ათასი რადაცის ორგანიზებით, ქართული მრეწველობა, ქართული კვების მრეწველობა, ლუდის წარმოება, აი, ეს უკავშირდება პირდაპირ ბატონ გოგის. მე ძალიან კარგად მასსოვს ეს პერიოდი. ასევე ვფიქრობ, რომ მამინაც 99 წელს, როცა ბატონი გოგი, პოლიტიკაში შემოვიდა, ეს იყო ნათელი წერტილი შევარდნაძის ეპოქაში, მრეწველების პარტიის ჩამოყალიბება და მინდა სულით და გულით, მიუვლოცო თუბილედ და ვუსურვო დიდი ხნის სიცოცხლე.



ოტარ ნოშინიანი: - გოგი ძალიან გულწრფელი კაცია, სხვათა შორის, ჩემსავით, ნამდვილად, არ მაღავს იმას, რაც მაჩანია სწორად, დიახ, პირდაპირ აცხადებს, ახლა გარკვეულ უხერხულობას კი ქმნის ეს გუნდის შიგნით, მაგრამ ასეთია, და ვფიქრობ, დადებითია ეს გულწრფელობა. აბა, რომ მალავს, ეს, ბოლოს და ბოლოს, მაინც იფეთქებს, ამიტომ ძალიან მომწონს და მიყვარს ეს კაცი. ის წარმატებული ბიზნესმენია, ნაცებმა რაც დამართეს, ვიცით, დღეს კი წელში გამართული კაცია, ხელისუფლებაშია და თვითონ უნდა შექმნას ის გარემო, რაც წაადგება ბიზნესს. ვულოცავ და მინდა, რომ დიდ ხანს იცოცხლოს, ჯანმრთელი იყოს, მაგრად იყოს...

კ ა ი ყ მ ა

- კაი ყმა - სოფლის იმედი, „მეთოფე-მემეტედ“ წოდებული მაგრამ მთავარი ამ ხუთი ენიგმიდან მაინც „კაი ყმის“ ფენომენი გახლდათ. იგი იყო სოფლის ფარი და აბჯარი, დამცავი და მოიერიშე, მტერზე შურისმაძიებელი სარანგი. ახლაც ასეა და ასე უნდა იყოს - კაი ყმის თქმულ მართალ, გაბეჯულ სიტყვას ველოდებით მაღალი ტიბიდან.

ბატონო გოგი, მე მაქვს თქვენი სიტყვის და „თოფის“ იმედი, რომელიც შიგადაშიგ მართლაც მიზანში ისვრის... თქვენ ნამდვილი მონადირე კაცი ხართ და არ შეიძლება, რომ მართალი არ იყო საკუთარ თავთან და სიტყვასთან და დაუნდობელი და სახიფათო იმ „მეცის“, მიმართ, რომელიც გინასავით (მოლიხვივით) ხრავს ჩვენი ერის სულსა და სხეულს.

„დაკვრა სჯობს დაღირებას“, - ამბობს ჩვენი მთის ანდრეზული სიბრძნე დიას, ახლა „ორჭოფობის“ დრო არ არის. დაიწყებთ ორჭოფობას და დამარცხდებით, საბედისწერო ბეწვის ხიდზე ვერ გადახვალთ - შენი გადადგმული ნაბიჯები მტკიცედ და გაბეჯულია, ზოგჯერ მოულოდნელიც და მე ის მიხარია...

თქვი და იმოქმედე, არ მოგერიდოს, დაიჭივრე მხარი, ვინც მხარდასაჭერია, ვინ არა: „დაკვრა სჯობს დაღირებას!“ - გვახსოვდეს ეს საკრალური იერიშის ფრაზა! - ჩვენ და მე, პირადად, იქ ვიღებოთ, სადაც ვერ არს!

ჩვენ უნდა დავიწყოთ „აჯანყება“ სრულიად უცნობი უბოროტო მეომართა „ყოფნა-არყოფნისთვის“, ხოლონური მტრის წინააღმდეგ, როგორც „ქაჯუნთან ომის“ მითშია... უნდა ვიბრძოლოთ სრულიად უჩვეულო სიტყვით და ენერგეტიკით, რომელიც გამოიწვევს ერის კონსოლიდაციას და აღტიკინებას. ეს არ არის ადვილი, მაგრამ არც შეუძლებელი...



ბატონო გოგი! არსებობს სენტენცია, თუ კედელზე თოფი ჰკიდია, ის აუცილებლად გაისვრის! და არა მხოლოდ საქმეებში.

თოფაძის გვარში და გენეტიკაში დევს თქვენი (ანუ ამ გვარის) გამჭვილი გენეტიკური კოდი! „თოფი ვის და მეთოფისო“, - ბრძანებს თემა. თქვენ თოფიც გაქვთ და მეთოფობის გენეტიკური უნარიც...

მე მინდა, რომ თქვენი სიტყვის და თოფის ექიმ გადაუაროს ჩვენს ჩამკვდარ თემს, სოფლებს და შეაფურთლოს! შეახმანოს და წამოახდლოს! და ვინც ვერ არს, ისიც მიახედოს იქითკენ! აყრილი, დემოგრაფიული, კულტურულ-ეკონომიკური დეპრესიით მოცული მთიანეთის გადასარჩენია!

თუ არ გვექნება მთიულეთი, გუდამაყარი, ხევი, სვანეთი და ასე შემდეგ... არ გვექნება საქართველო! ეს „დრამატული“ რეალობა და სივრცითი უნდა გააცნობიეროს ყველამ - პარლამენტმა, მთავრობამ, ეკლესიამ, ერმა და ბერმა...

დიახ, მრეწველობა, მეურნეობა და ერის ტრადიციული ცნობიერება გადაარჩენს საქართველოს! დიახ, დიდხანს ვერ ვიარსებებთ პრეზიდენტარული გენური პროდუქციით და უძებლესი კულტურის და მეურნეობის კვყვანა ვერ დაგვრჩებით ხელგაწვილ მათხოვრებად მასკულტურის და პომოსექსუალ ლიბერტიანთა ჭაობში...

აუცილებლად დადგება დრო, როდესაც ჩვენ გადაგვიკეტავენ იმ წყაროსაც, როდესაც სარჩო-საბადებელი სხვისგან (და უმეტესწილად მტრისგან) გვეძლევა (!) და დავრჩებით ქვიშაზე გარყვნილი თევზებით... ეს იქნება ჩვენი დასასრული ამ საუკუნეში... ისტორიული ერის სრული კატასტროფა!

ბატონი გოგი! თქვენ ყოველთვის ხედავით და ხედავთ ამ ხიფათს მაშინაც იმ ტყვანი „პიუსისების“ დროს და ახლაც „ქართული ოცნების“ ოცნებათა პერიოდში და სიმართლეს ამბობდით ახლაც და მაშინაც... ახლა ნამდვილად არის დრო და ვითარება ქვეყნის გადარჩენისთვის და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაფუშვდეს! კიდევ ერთხელ გილოცავთ დაბადების თარიღს. ჯანმრთელობას და სიმშენვეს გისურვებთ! მაქვს თქვენი კაცობის და სიტყვის იმედი, ვფიქრობ, რომ პარლამენტში თქვენი მოღვაწეობა არ ჩაივლის ამაოდ.

თავის დროზე გერგებიდან ჩამოსულმა ხეთის შვილებმა იხსნეს ქვეყანა, ახლაც მთებიდან დაკეცვულმა ელვამ უნდა გაანათოს იბერიის დაბინდული საუფლო...

პატივისცემით **კობა არაბაშვილი**

გიორგი ბაჩიაშვილი, პარლამენტარი, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერი: ბატონი გოგის ვიცნობ ძალიან დიდი ხანია და უნდა ვთხროთ, რომ ყოველთვის, თვით ბიზნესშიც კი ეროვნული მოღვაწე იყო. სანამ პარტიას შექმნიდა, თავიდანვე დაინტერესებული იყო ნაციონალური მრეწველობის განვითარებით. სულ იმისთვის იბრძოდა, რომ შეზღუდულიყო გარედან შემოტანილი პროდუქციის რეალიზაცია და განვითარებულიყო შიდა მრეწველობა. ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორი იყო ამ მიზნის წინააღმდეგ, მაგრამ მან მაინც მოახერხა სასარგებლო საქმეების კეთება. ყველამ ვიცით, რა პრობლემები შეუქმნა „ნაციონალურმა მოძრაობამ“, თუმცა ის დღეს კვლავაც აგრძელებს ქვეყნისთვის ღირებულ საქმიანობას. ძალიან მიხარია, რომ ბატონი გოგი ჩემი უფროსი მეგობარია და დღეს პარლამენტში ერთად გვიწევს მოღვაწეობა.



არჩილ გომეზია, ფუნდლისტი: ძალიან დიდხანს შემიძლია ვისაუბრო ბატონ გოგიზე, როგორც ქვემოქმედზე, როგორც ვაჟკაცზე, როგორც თავისი საქმის მცოდნე კაცზე და, ამავდროულად, დიდად მეგობრულ ადამიანზე. ბევრმა, შეიძლება, არც იცოდეს, რამდენი დახმარება აქვს გაწეული ავადმყოფი ადამიანებისთვის, სტუდენტებისთვის. ვერ კიდევ 90-იან წლებში აფინანსებდა ის სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლას... უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, არავის არ ამაღლის ამას. სიკეთეს ისე აკეთებს, თითქოს არც გაუკეთებია - ჩუმად და უხმაურად. პატარა ბიჭობიდან ვიცნობ გოგის. ფეხბურთის ვთამაშობდით ერთად. ყოველთვის გამოჩენული, ლიდერი კაცი იყო. დღემდე მის სიტყვას ფასი აქვს. სიმართლეს ლაპარაკობს ყოველთვის. ბიზნესსა და პოლიტიკაში კი ყოველთვის სიმართლის თქმა, თითქოსდა, სისუსტეს ნიშნავს, მაგრამ ის ამასაც ისე აკეთებს, კაცის ღირსება ჩანს ამ მოქმედებაში. გოგი თოფაძე სულიერად რაინდი კაცია. ვულოცავ თუბილედ!




თეიმურაზ ჭავჭავაძე: ბატონ გოგის სანამ ვავიციობდი, ყოველთვის მესმოდა მასზე მხოლოდ კარგი. ყოველთვის ქუხდა მისი სახელი. დღეს ბატონი გოგი ჩემი მეგობარია. ძალიან კარგი ადამიანი, ღირსეული ქართველი. ვულოცავ სულითა და გულით. ჯანმრთელობას, დღევანდელსა და უსურვებ.



ზაურ კალანდია: 1198 წელია. მწერალთა კავშირში მწერლებთან მოვიდნენ მეწარმენი. მოვიდნენ სარაჯიშვილის, ზუბალაშვილის, ხოშტარისა მემკვიდრენი. ერზე, ქვეყანაზე მოფიქრალი კაცები და მწერლობას გაუზიარეს თავიანთი სატყევერი. საით მივდივართ და სად არის გამოსავალი?




აი, ამაზე იყო საუბარი. ბევრი რამ იყო... გამოსავალიც თითქოს გაჩნდა... რაღაც გამახსენდა და ბატონ გოგი თოფაძეს მოვეუყვი. ილია ჭავჭავაძემ დავით სარაჯიშვილს დავთრებში ჩარეულს, სანაგარიშოზე თავდახრილს შეუესწო. სომხურად ითვლიდა თურმე ბატონი დავითი და, ეს რა შესძისო, გაოგნებულა ილია. რა ვქნა, ბატონო ილია, არ გამოდის ანგარიში ქართულად, უთქვამს შეცბუნებულ კომერსანტს. ბატონმა გოგმა ბევრი იცინა, თითქოს დამეთანხმა კიდევ... გოგი თოფაძე სულით ხორცამდე ქართველი კაცია, ქართული ხასიათით და ქართული ბუნებით.



1998 წ.

დემურ ბაშაღლიშვილი: 2005 წლის 10 ივნისი, - დღე, რომელსაც ოცი საუკუნე ველოდით! „თბილისი-მარიოტის“ თამარ მეფის დარბაზში შეკრებილან საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენლები - მეცნიერები, ხელოვანები, ბიზნესმენები, პოლიტიკოსები, უცხოელის სტუმრები, პრესა, ტელევიზია... ისინი პირველები გახდნენ თანამონაწილე უპრეცედენტო ფაქტისა, როცა პირველად საქართველოში (და არა მხოლოდ საქართველოში) გამოჩენილ ბიზნესმენსა და ქვემოქმედს გოგი თოფაძეს პირველად საქართველოში მიენიჭა „ქართული კულტურის მეცენატის“ საპატიო წოდება და გადაეცა მეცენატის ოქროს მედალი. ქართველები აქაც პირველები აღმოვჩნდით!



ჩანართზე მუშაობდნენ: **ირანდა კალანდია, ქეთი სომერიანი**

ინტერვიუ ექსპერტთან კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში შოთა აფხაიძისთან.

– შოთა, ბოლო დროს განსაკუთრებით გააქტიურდა სალაფიზური მოძრაობები. რა იდეოლოგიით მოქმედებს სალაფიზი?

– სალაფიზში სუნიტური ისლამის მიმდინარეობაა, რომელიც ისლამის ძირითად პოსტულატებს ეფუძნება. არის მონოთეისტური მიმდინარეობა და მისი მთავარი მიზანი და იდეა არის ის, რომ დაიწმინდოს ისლამი სხვადასხვა წარმონაქმნებისგან – შიიზმისგან, ალკეიზმისგან, ალაფიზმისგან, სუფიზმისგან, ნურსიზმისგან და ქადგებენ, რომ სალაფიზში ემყარება იმას, რაც იქადაგა მუჰამედმა და რაც განაგრძებს შემდეგ მისმა მოწაფეებმა ყოველგვარი რეფორმაციის გარეშე.

ისინი აცხადებენ კიდევაც: ეს არის ბრძოლა ისლამის შიგნით, რომ დაიწმინდოს იმ მიმდინარეობებისგან, რითაც, პირველ რიგში, ისლამს და მის სხვადასხვა მიმდინარეობებს უპირისპირდებიან.

ვაჰაბიზმის სამშობლოდ მიიჩნევა საუდის არაბეთი, არაბული სახელმწიფოები, იემენის სამხრეთ ცენტრალური ნაწილი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები, ერაყის ტერიტორიის დასავლეთში მცხოვრები სუნიტური დაჯგუფებები, იორდანიაში მცხოვრები სუნიტები. სალაფიზმის გაერთიანების არეალი გადის ჩრდილოეთ აფრიკაზეც. მაგალითად, დღეს ნიგერიაში სერიოზული მოძრაობები მიმდინარეობს ამ მხრივ.

ამ ტიპის დაჯგუფებები აქტიურობენ ყირიმის ტერიტორიაზეც. საშიშ გაერთიანებად მიიჩნევა, აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ე. წ. ჩრდილოეთის ემირატები. აღარაფერს ვამბობ ალ ქაიდაზე.

– რატომ მიეცა ამ მოძრაობას ბოლო ხანებში ასეთი გართულებული სახე?

– მას შემდეგ, რაც ფართომასშტაბიანი კამპანია დაიწყო დასავლეთმა ბაშარ ასადის დასამხობად, სირიის ოპოზიციას ღიადი ფინანსური და სამხედრო დახმარება აღმოუჩინეს. მათ გამოიყენეს რადიკალი ისლამისტები, ჩემს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა დაჯგუფება მიახმარეს სირიის ოპოზიციას. სინამდვილეში აღმოჩნდა ის, რომ ბრძოლა მიმდინარეობდა არა ბაშარ ასადის წინააღმდეგ, არამედ ეს ბრძოლა უკვე ტრანსფორმირდა რელიგიურ ჯიჰადად.

– ოპოზიციას არამუსულმანები არიან ძირითადად?

– სირიის ხელისუფლებაში არიან ალკეიზი მუსულმანები. ბაშარ ალ ასადი და ჰაფეზ ასადი – მისი მამა, ალკეიზები იყვნენ. ისინი ხელისუფლებაში დასავლეთის მხარდაჭერით მოვიდნენ. ასადები ყოველთვის მიუღებელი იყვნენ ისლამური



შოთა აფხაიძე:

სახით, როგორც დასავლეთმა, თავის დროზე, მხარი დაუჭირა და დღემდე მხარს უჭერს ამ კამპანიას. 2014 წელს, როცა გამოაცხადეს, რომ საჰაერო დარტყმებს განახორციელებდნენ ისლამური სახელმ-

ლაშური სახელმწიფოსთვის საფრთხის შექმნას, დადგება პერიოდი, რომ დიარბეკირში, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში ყარსი-ვანი-დიარბეკირიდან მოყოლებული, სირიის ტერიტორიაზე დაიწყებენ ბრძოლას თვითგამორკვევისთვის და მოითხოვენ ფართო ავტონომიებს.

ამიტომაც თურქეთი სატრანზიტო ღერეფანს აძლევს მებრძოლებს, რომლებიც კავკასიიდან და ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან მიედინებიან ისლამურ სამყაროში.

